პროლეტარებო - ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქ. სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო.

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

კვირა
5 დეკემბერი
1943 წ.
№ 251 (6176)
ფასი 20 კაპ.

„სამშობლოს დაცვა არის სსრ კავშირის თვითეული მოქალაქის წმინდათა-წმინდა მოვალეობა"

სსრ კავშირის კონსტიტუციის 133-ე მუხლი

სტალინური კონსტიტუციის დროშით წინ, გამარჯვებისაკენ!

შვიდი წელი გავიდა იმ ისტორიული დღიდან, რაც საბჭოების სრულიად-საკავშირო საგანგებო VIII ყრილობამ მიიღო **საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის კონსტიტუცია (ძირითადი კანონი)**, რომლის შემქმნელია დიდი **სტალინი.**

ეს იყო უდიდესი მოვლენა არა მარტო ჩვენი სამშობლოს, ჩვენი ხალხის ცხოვრებაში, არამედ მთელი მოწინავე პროგრესიული კაცობრიობის ისტორიაში.

ხალხთა ბრძენი ბელადის — ამხანაგ **სტალინის** მიერ დაწერილ ძირითად კანონში, რომელსაც თვით ხალხმა უწოდა სტალინური კონსტიტუცია, რეგისტრირებულ და საკანონმდებლო წესით განმტკიცებულ იქნა ჩვენი ქვეყნის უდიდესი მიღწევები. მან საბჭოთა მოქალაქეებს მიანიჭა დიადი უფლებანოვალეობანი. მასში ასახულია მარქსიზმ - ლენინიზმის ცხოველმყოფელი იდეების ხორცშესხმა სსრ კავშირში, ეპოქის ამ უდიდეს დოკუმენტში ასახულია კაცობრიობის საუკეთესო, მოწინავე ადამიანების საუკუნეობრივ ოცნებათა განხორციელება ჩვენი ქვეყნის მშრომელი მასების გმირული ბრძოლისა და შრომის შედეგად; **ლენინ-სტალინის** პარტიის ნაცადი ხელმძღვანელობით.

სტალინურ კონსტიტუციაში განხორციელებულია თანმიმდევრობითი და ბოლომდე დაცული დემოკრატიზმი — ეს არის სოციალისტური დემოკრატიზმი. სსრ კავშირის ძირითადი კანონი, როგორც ამხანაგი სტალინი გვასწავლის, „წარმოადგენს მსოფლიოში ერთად-ერთ ბოლომდე დემოკრატიულ კონსტიტუციას", რომელიც გამოდის იმ წინამძღვრებიდან, რომ სოციალიზმი და დემოკრატია უძლეველნი არიან.

თავის ისტორიულ მოხსენებაში კონსტიტუციის პროექტის შესახებ 1936 წლის 25 ნოემბერს ამხანაგმა სტალინმა სსრ კავშირის ახალი კონსტიტუცია განსაზღვრა, როგორც საბრალმდებლო აქტი ფაშიზმის წინააღმდეგ. გერმანელმა ფაშისტმა ავაზაკებმა, რომლებმაც მთელი ევროპა სისხლით მორწყეს და მიზნად დაისახეს მსოფლიოს დემოკრატიული ხალხების დამონება, თავისი ბარბაროსული ტორი აღმართეს საბჭოთა ხალხების წმიდათა-წმიდა მონაპოვრების წინააღმდეგ. მაგრამ ვერაგი მტრები სასტიკად მოსტყუვდნენ ანგარიშში. საბჭოთა ხალხი ერთსულოვნად აღსდგა თავისი დიადი მონაპოვრების დასაცავად, სტალინური კონსტიტუციის დროშით წავიდა იგი ბრძოლაში თავდამსხმელების შესამუსრავად.

გერმანელ ფაშისტებს ეგონათ, როგორც ამას აცხადებდნენ კონსტიტუციის პროექტის გამოქვეყნების შემდეგ ჰიტლერული პრესის მჯღაბნელები, რომ სსრ კავშირი არ წარმოადგენდა სახელმწიფოს, რომ იგი იყო „ზუსტად განსაზღვრული გეოგრაფიული ცნება" და სხვა არაფერი, კიდევ მეტი, „პოტიომკინის სოფელი". ამხანაგმა სტალინმა თავის მოხსენებაში გამანადგურებელი პასუხი გასცა კონსტიტუციის პროექტის ასეთ „კრიტიკოსებს" და ისინი შეადარა დიდი რუსი მწერლის სალტიკოვ-შჩედრინის მიერ დახატულ თავნება ბიუროკრატის ტიპს, რომელმაც ქალაღზე რეზოლუციის დადებით მოისურვა „ამერიკის დახურვა".

გერმანელმა ფაშისტმა ავაზაკებმა წითელი არმიის გმირული დარტყმებით იგემეს, თუ რა სახელმწიფოს წარმოადგენს სსრ კავშირი, რა ძალა აქვს მას, და რას ნიშნავს მოწინააღმდეგის შეუფასებლობა. მთელი მსოფლიო ნათლად ხედავს, თუ რა გმირულად და მამაცურად გაუძღო ჩვენმა ქვეყანამ სამამულო ომის განსაცდელს, რა გამანადგურებლად დაარტყა წითელმა არმიამ ფაშისტთა ჯარებს, და ახლა ზედიზედ როგორ ამარცხებს კაცობრიობის უბოროტეს მტერს—ჰიტლერელ დამპყრობლებს. ამ ომში ჩვენთან არიან მსოფლიოს დემოკრატიული ხალხები, რომლებიც ფაშისტური ტირანიის წინააღმდეგ იბრძვიან.

სტალინურმა კონსტიტუციამ საბჭოთა მოქალაქეებს მიანიჭა შრომის, დასვენების, მატერიალური უზრუნველყოფის, განათლების და სხვა დიადი უფლებანი. ეს უფლებანი გარანტირებულია.

ამხანაგმა სტალინმა თავის მოხსენებაში კონსტიტუციის პროექტის შესახებ მიუთითა:

„ახალი კონსტიტუციის პროექტის თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ იგი არ სჯერდება მოქალაქეების ფორმალურ უფლებათა ფიქსირებას, არამედ სიმძიმის ცენტრი გადააქვს ამ უფლებათა გარანტიების საკითხზე, ამ უფლებათა განხორციელების საშუალებების საკითხზე".

სსრ კავშირის ძირითადი კანონი საბჭოთა მოქალაქეებს აკისრებს დიად მოვალეობებს. 133 მუხლი ამბობს: **„სამშობლოს დაცვა არის სსრ კავშირის თვითეული მოქალაქის წმინდათა-წმინდა მოვალეობა".** საბჭოთა მოქალაქენი ღირსეულად, პატრიოტული გრძნობით ასრულებენ ამ წმიდათა-წმიდა მოვალეობას. ისინი მტკიცედ, გმირულად, საკუთარი მკერდით იცავენ სოციალისტურ სამშობლოს.

ქართველი ხალხის ბევრმა მამაცმა შვილმა მოძმე ხალხების შვილებთან ერთად გამოიჩინა თავი გერმანელ ფაშისტთა წინააღმდეგ ბრძოლაში. ბევრ ქართველ ვაჟკაცს, რომელმაც სამშობლო ასახელა, საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიენიჭა.

ზურგში გაჩაღებულია გმირული შრომა ფრონტის დასახმარებლად. დღითიდღე ძლიერდება შემტევი წითელი არმიისადმი დახმარება.

თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის ამხანაგ **სტალინის** ისტორიულ საოქტომბრო მოხსენებას მთელმა საბჭოთა ხალხმა ახალი პატრიოტული აღმავლობით უპასუხა. წითელ არმიის უდიდეს ისტორიულ გამარჯვებებს ფრონტზე საბჭოთა ადამიანები ახალი წარმატებებით აღნიშნავენ ფრონტის დასახმარებლად.

„ახლა გამარჯვება ახლოა, — სთქვა ამხანაგმა **სტალინმა** თავის საოქტომბრო მოხსენებაში, — მაგრამ მის მოსაპოვებლად საჭიროა ძალთა ახალი დაძაბვა, მთელი ზურგის თავდადებული მუშაობა, წითელი არმიის მარჯვე და გაბედული მოქმედება ფრონტზე".

საბჭოთა ხალხი, როგორც ყოველთვის, წარმატებით შეასრულებს თავისი დიდი ბელადის მოწოდებას.

გაუმარჯოს ჩვენი დიდი სოციალისტური სამშობლოს თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას!

სიკვდილი გერმანელ ფაშისტ დამპყრობლებს!

დიადი სტალინური კონსტიტუციის დროშით წინ, მტერზე სრული გამარჯვებისაკენ!

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან

4 დეკემბრის ოპერაციული ცნობა

4 დეკემბრის განმავლობაში პროპოისკის ჩრდილო-დასავლეთით ჩვენი ჯარები მოწინააღმდეგესთან ეწეოდნენ ბრძოლებს, რომელთა მსვლელობაშიც დაიკავეს რამდენიმე დასახლებული პუნქტი და მათ შორის **შეპეტრიოვკა, ვისოკოე, ლაპენი, პეტუხოვკა, კუზმინიჩი, სტარაია გუდა, უსტიე, ხომენკი, იუშკოვიჩი, უსუშეკი, დოლგი მოსი, გრიაზივეცი, ხოტიუჩე.**

გომელის ჩრდილო-დასავლეთით ჩვენი ჯარები ბრძოლებით მიიწევდნენ წინ და დაიკავეს 30-ზე მეტი დასახლებული პუნქტი, რომელთა შორის არის დიდი დასახლებული პუნქტები **გადილოვიჩი, დუბრავა, ტურსკი, გოროდეცი, ვიშენკი, სვიატოე, ბარანოვკა, გლუშიცა** და რკინიგზის სადგური **ხალჩი.**

ჩერკასის რაიონში ჩვენი ჯარები განაგრძობდნენ მოწინააღმდეგის ქვეითი ჯარისა და ტანკების იერიშების მოგერიებას.

კრემენჩუგის სამხრეთ-დასავლეთით ჩვენი ჯარები სძლევდნენ მტრის წინააღმდეგობას და დაიკავეს მისი თავდაცვის რამდენიმე ძლიერ გამაგრებული დასაყრდენი პუნქტი.

ფრონტის სხვა უბნებზე ზვერვა და საარტილერიო-სანაღმტყორცნო სროლაა.

3 დეკემბრის განმავლობაში ჩვენმა ჯარებმა ყველა ფრონტზე დააზიანეს და მოსპეს გერმანელთა 29 ტანკი, საჰაერო ბრძოლებში და საზენიტო არტილერიის ცეცხლით ჩამოგდებულია მოწინააღმდეგის 12 თვითმფრინავი.

* * *

პროპოისკის ჩრდილო-დასავლეთით ჩვენმა ჯარებმა, რომლებიც ტყიან-ჭაობიანი ადგილის პირობებში მოქმედებდნენ, განდევნეს გერმანელები რამდენიმე დასახლებული პუნქტიდან. ერთ რაიონში ნ შენაერთის ნაწილებმა ძლიერ გამაგრებული მაღლობისათვის ბრძოლაში გაანადგურეს გერმანელთა ერთი ბატალიონი ქვეითი ჯარი. ხელთ ვიგდეთ 2 საარტილერიო ბატარია, 8 ნაღმსატყორცნი და სხვა დავლა. სხვა უბანზე საბჭოთა მებრძოლნი დაედევნენ მოწინააღმდეგეს და მოსპეს 300-მდე ჰიტლერელი და წამოიყვანეს ტყვეები.

* * *

გომელის ჩრდილო-დასავლეთით ჩვენი ჯარები სძლევდნენ მტრის წინააღმდეგობას, განაგრძობდნენ წინსვლას და დაიკავეს 30-ზე მეტი დასახლებული პუნქტი. საბჭოთა ქვეითებმა, არტილერისტების აქტიური დახმარებით, დაიკავეს რკინიგზის სადგური ხალჩი. სადგურის მისადგომებზე გერმანელებმა სცადეს შეეჩერებინათ ჩვენი ნაწილების წინსვლა და რამდენიმე კონტრიერიში მოიტანეს. ჩვენმა მებრძოლებმა მოიგერიეს ჰიტლერელთა კონტრიერიშები, შეიჭრნენ ხალჩის სადგურზე და გააფთრებული ბრძოლის შემდეგ გაანადგურეს მოწინააღმდეგე. ხელში ჩავიგდეთ დავლა, რომელშიც არის 8 ქვემეხი, 36 ტყვიამფრქვევი და საომარი მასალის საწყობი. სხვა უბანზე საბჭოთა ქვეგანაყოფებმა მოსპეს გერმანელთა მოძრავი რაზმი, ხელთ იგდეს საარტილერიო ბატარია, 20 ავტომანქანა და სხვა დავლა.

* * *

ჩერკასის რაიონში ჩვენი ჯარები იგერიებდნენ მოწინააღმდეგის ტანკებისა და ქვეითი ჯარის იერიშებს. გერმანელთა ორი პოლკი ქვეითი ჯარი და 70-მდე ტანკი შეტევაზე გადმოვიდნენ იმ პოზიციების წინააღმდეგ, რომელთაც ნ ნაწილის მებრძოლნი იცავდნენ. ხუთჯერ მოიტანეს ჰიტლერელებმა იერიში, მაგრამ, წააწყდნენ რა არტილერიისა და თოფტყვიამფრქვევების მძლავრ ცეცხლს, უკუიქცნენ. ბრძოლის ველზე დარჩა მტრის 1.000-მდე გვამი. დამწვარი და დაზიანებულია გერმანელთა 24 ტანკი და 3 თვითმავალი ქვემეხი. სხვა უბანზე ჩვენმა არტილერისტებმა ცეცხლითი თავდასხმა მოახდინეს თავმოყრილ მოწინააღმდეგეზე და მოსპეს 30-ზე მეტი ავტომანქანა ქვეით ჯარიანად და სამხედრო ტვირთიანად.

* * *

კრემენჩუგის დასავლეთითა და სამხრეთ-დასავლეთით ნ შენაერთის ნაწილებმა დაიკავეს მოწინააღმდეგის რამდენიმე ძლიერ გამაგრებული პუნქტი. განსაკუთრებით შეუპოვარი ბრძოლები სწარმოებდა ერთი დასახლებული პუნქტისათვის. გერმანელები ცდილობდნენ, რადაც უნდა დასჯდომოდათ, შეენარჩუნებინათ ხელსაყრელი პოზიციები და არაერთხელ გადმოვიდნენ კონტრიერიშზე. საბჭოთა ნაწილებმა მოჰქანცეს მოწინააღმდეგე და დღის დამლევისათვის გადამწყვეტი დარტყმებით დაიკავეს ეს პუნქტი. მოსპობილია მტრის 600-ზე მეტი ჯარისკაცი და ოფიცერი, ხელთ ვიგდეთ 9 ქვემეხი, 42 ტყვიამფრქვევი, 11 ავტომანქანა, საომარი მასალების ერთი საწყობი და ორი საწყობი სხვადასხვა სამხედრო ქონებიანად.

* * *

ლენინგრადის ოლქის ერთ-ერთ რაიონში მოქმედი პარტიზანული რაზმი 25 ნოემბერს უეცრად დაესხა თავს რკინიგზის სადგურის მცველებს. პარტიზანებმა დახოცეს მცველ გერმანელთა რაზმი, ააფეთქეს სემაფორები, შესასვლელი და გასავლელი ისრები, მოშალეს კავშირგაბმულობა და რკინიგზის სიგნალიზაცია და ცეცხლი წაუკიდეს მოწინააღმდეგის სამხედრო საწყობებს.

* * *

გერმანიის 73-ე ქვეითი დივიზიის 186-ე პოლკის მე-9 ასეულის ტყვე მეთაურმა ობერლეიტენანტმა ფრანც ვახტერმა განაცხადა: „მე ვმონაწილეობდი საპერძნეთსა და იუგოსლავიაში წარმოებულ ბრძოლებში და დამაჯილდოეს 1-ლი და მე-2 კლასის რკინის ჯვრებით. ჩემი ჯვრები მე დავკარგე მთელ პირად ნივთებთან ერთად ნოვოროსიისკიდან გაქცევის დროს, როცა რუსებმა იქ ჩვენთვის მოულოდნელად გადმოსხეს დესანტი. გერმანელი ოფიცრები ახლა მეტად დარდიან ჯუნებაზე. არიან. ყველას ესმის, რომ გერმანია უაღრესად მძიმე მდგომარეობაში იმყოფება. გერმანიის არმია აღმოსავლეთის ფრონტზე უკან იხევს. გერმანიის სამრეწველო ცენტრებსა და ქალაქებს ბომბავენ. ამიტომ ბევრი ოფიცერი ფიქრობს, რომ გერმანიის არმია რუსეთის მესამე ზამთარს ვერ გაუძლებს".

* * *

მიღებულია ცნობა იმ საშინელი ბოროტმოქმედების შესახებ, რაც გერმანელმა ფაშისტმა არამზადებმა ჩაიდინეს ქალ. ქერჩში. ქალაქის შორიახლო ჰიტლერელებმა ქალთა საკონცენტრაციო ბანაკი მოაწყეს. ამ ბანაკში იტანჯებოდა ათასობით ქალი და ქალიშვილი, რომლებიც გერმანელებმა ყუბანიდან და ყირიმიდან მორეკეს. ბანაკში დამწყვდეულთ საშინლად აწამებდნენ და შეურაცხყოფდნენ. გერმანელი ჯალათები აიძულებდნენ ქალებს შეეხრულებინათ უაღრესად მძიმე სამუშაო. შიმშილისა, აუტანელი შრომისა და ცემისაგან ბანაკში ყოველდღე რამდენიმე კაცი კვდებოდა.

როცა ჰიტლერელებმა დაიწყეს საბჭოთა მოქალაქეების მასობრივად გაგზავნა გერმანიის კატორღაში, ქალ. ქერჩის ბევრი მცხოვრები ქვის სამტეხლოებს შეეხიზნა. გერმანელებმა ქვის სამტეხლოებს ეკლიანი მავთული შემოავლეს და გამოაცხადეს: „ვინც მღვიმეების ახლოს იქნება შემჩნეული, ადგილზე დაიხვრიტება". მღვიმეების გამოსასვლელთა ახლოს ბევრ ადგილას გერმანელებმა ნაღმები ჩაიწყეს. დაბა აჯიმ-უშკაიდან უკანდახევის წინ ფაშისტმა კაციჭამიებმა კატაკომბში შერეკეს 500 მცხოვრები და დახვრიტეს. ჰიტლერელი ჯალათების მიერ ქალაქ ქერჩში ჩადენილი უმარავი ბოროტმოქმედების აღნუსხვა შეუძლებელია. ტანსაწინააღმდეგო ორმოებში დამარხულია ათასობით მშვიდობიანი მოქალაქე, რომლებიც ფაშისტმა მკვლელებმა დახოცეს.

„ჭაის მსახიობი"

მოქმედი არმია, 3 დეკემბერი (საკდესის სპეც. კორ.). ეს ქერათმიანი ქალიშვილი ომამდე ყირიმის თეატრალური ინსტიტუტის სტუდენტი იყო, ხოლო როცა გერმანელებმა სიმფეროპოლი დაიკავეს, იგი, ისე როგორც ბევრი მისი ამხანაგი, პარტიზანულ რაზმში წავიდა. იგი ოდნავ ერკვეოდა მედიცინაში, მხოლოდ ოდნავ მაინც, როდესაც რომელიმე პარტიზანი დაიჭრებოდა, იგი წესიერად უხვევდა, გულდასმით უვლიდა დაჭრილებს და არა ერთი გმირი დააყენა ფეხზე.

განა მარტო დაჭრილთა მოვლა შეადგენს რაზმში ნელის მოვალეობას—ასე ეძახიან ახალგაზრდა პარტიზანს. იგი თავისი რაზმის დიდ მეურნეობას განაგებს—წყლის ძროხებს, ამზადებს საჭმელს, ხოლო როცა თავისუფალი საღამო ხვდება, მას პარტიზანები სთხოვენ „კონცერტი მოაწყეო". ნელი მღერის, მღერის საბჭოთა სიმღერებს მეზღვაურებზე, სიყვარულზე, მზეზე, ზღვაზე, დიდ, საუცხოო სამშობლოზე, საბჭოთა ადამიანების გმირულ საქმეებზე.

ერთხელ ტყეში პარტიზანი ქალი მტრის ჯარისკაცებს წააწყდა. ფაშისტებმა შეიპყრეს იგი, სცემეს, შემდეგ კი ჩამოსახრჩობად წაიყვანეს. უკანასკნელ წუთს ქალიშვილმა ღონივრად ჰკრა ხელი ჯალათს და ციცაბო ნაპრალში გადაეშვა. დაფლეთილი, გასისხლიანებული და დაძონძილი იგი სამი დღე იწვა მაჩვის ბუნაგში, შემდეგ კი მაინც მიაგნო თავისიანებს.

ნელი შილინამ ოც თვეს დაჰყო ტყეში პარტიზანებთან. მას ყველანი „ტყის მსახიობს" ეძახდნენ. როდესაც მძიმე ავად გახდა, იგი პარტიზანებმა თვითმფრინავით გაგზავნეს სამკურნალოდ დიდ მიწაზე.

ი. ფსევოლოდოვსკი

ნოიბერის მიწერ-მოწერა დედასთან

ლენინგრადის ფრონტი, 30 ნოემბერი (საკდესის სპეც. კორ.). სნაიპერმა თვედორე დიაჩენკომ ამას წინათ თავისი დედის ნატალია ილიას-ასულის წერილი მიიღო. დედა აცნობებს თავის გმირ შვილს, თუ რა ჩადენილ ფაშისტმა არამზადებმა მას სამშობლო სოფელში. „დიდი უბედურება დაგვატყდა თავს,—სწერს იგი,—მამაშენისაგან ომის პირველი დღეებიდანვე აღარ მომდის წერილები, შენი ძმა საშა კი გერმანელებმა წაიყვანეს გერმანიაში. ჩვენი სოფელი მთლად გადაბუგეს წყეულმა ჰიტლერელებმა. დაგვრჩა მარტო ოდენ ფერფლი და ცრემლი, ტანჯვა და მწუხარება".

შემდეგ დედა სწერს: „დიდად მახარებს, რომ ცოცხალი და ჯანმრთელი ხარ და მამაცურად ებრძვი ფაშისტ ჯალათებს. მოკითხვა მეზობლებისა და ნაცნობებისაგან. ყველა გისურვებს მალე დაამარცხო მტერი და შინ დაბრუნდე".

მამაცმა სნაიპერმა დედას უპასუხა: „გამეხარდა თქვენი პირველი წერილის მიღება.

„ჭაის მსახიობი"

მოქმედი არმია, 3 დეკემბერი (საკდესის სპეც. კორ.). ეს ქერათმიანი ქალიშვილი ომამდე ყირიმის თეატრალური ინსტიტუტის სტუდენტი იყო, ხოლო როცა გერმანელებმა სიმფეროპოლი დაიკავეს, იგი, ისე როგორც ბევრი მისი ამხანაგი, პარტიზანულ რაზმში წავიდა. იგი ოდნავ ერკვეოდა მედიცინაში, მხოლოდ ოდნავ მაინც, როდესაც რომელიმე პარტიზანი დაიჭრებოდა, იგი წესიერად უხვევდა, გულდასმით უვლიდა დაჭრილებს და არა ერთი გმირი დააყენა ფეხზე.

განა მარტო დაჭრილთა მოვლა შეადგენს რაზმში ნელის მოვალეობას—ასე ეძახიან ახალგაზრდა პარტიზანს. იგი თავისი რაზმის დიდ მეურნეობას განაგებს—წყლის ძროხებს, ამზადებს საჭმელს, ხოლო როცა თავისუფალი საღამო ხვდება, მას პარტიზანები სთხოვენ „კონცერტი მოაწყეო". ნელი მღერის, მღერის საბჭოთა სიმღერებს მეზღვაურებზე, სიყვარულზე, მზეზე, ზღვაზე, დიდ, საუცხოო სამშობლოზე, საბჭოთა ადამიანების გმირულ საქმეებზე.

ერთხელ ტყეში პარტიზანი ქალი მტრის ჯარისკაცებს წააწყდა. ფაშისტებმა შეიპყრეს იგი, სცემეს, შემდეგ კი ჩამოსახრჩობად წაიყვანეს. უკანასკნელ წუთს ქალიშვილმა ღონივრად ჰკრა ხელი ჯალათს და ციცაბო ნაპრალში გადაეშვა. დაფლეთილი, გასისხლიანებული და დაძონძილი იგი სამი დღე იწვა მაჩვის ბუნაგში, შემდეგ კი მაინც მიაგნო თავისიანებს.

ნელი შილინამ ოც თვეს დაჰყო ტყეში პარტიზანებთან. მას ყველანი „ტყის მსახიობს" ეძახდნენ. როდესაც მძიმე ავად გახდა, იგი პარტიზანებმა თვითმფრინავით გაგზავნეს სამკურნალოდ დიდ მიწაზე.

ი. ფსევოლოდოვსკი

შუამდინარეთში

ბელორუსიის ფრონტი, 4 დეკემბერი. (საკდესის სპეც. კორ.). უკან დარჩა წყალმრავალი მდინარე სოჟი. გომელი ჭურჭის ქალაქი გახდა. დნეპრისა და სოჟის შუამდინარეთში არსებულ პლაცდარმს ჰიტლერელები ერთ დროს თავიანთ „ბელორუსიის სამხრეთ ბასტიონს" უწოდებდნენ. ეს ბასტიონი დაეცა. ახლა ტყვე გერმანელები შუამდინარეთს „წყლის ტომარას" უწოდებენ. ჰიტლერელთა შებერტყილი ჯარები, წითელი არმიის ნაწილების მიერ სამი მხრიდან შემოწიროებულნი, აქ მიმწყვდეული არიან დნეპრთან. ყოველდღე ბელორუსიის ათობით სოფელი თავისუფლდება გერმანელი ფაშისტი დამპყრობლებისაგან.

ახლა ბელორუსიის სამხედრო გზებზე ყველაფერი მოძრაობს, ჩქარობს, ფრონტი სულ უფრო და უფრო შორს მიდის დასავლეთისაკენ. მაგრამ მტერი შეუპოვარ წინააღმდეგობას გვიწევს. ზოგიერთ უბანზე, ეგისათვის, რომ ჩვენი შეტევა შეაჩეროს, ის დამკვრელ მუშტებს ჰქმნის ქვეითი ჯარისა, ტანკებისა, არტილერიისა და თვითმავალი ქვემეხებისაგან და გააფთრებით გადმოდის კონტრიერიშებზე. სხვა უბნებზე გერმანელები შუალედ თავდაცვითს ზღუდეებთან საფარ რაზმებს აყენებენ. მაგრამ მტრის ტაქტიკა ყოველთვის მარცხს განიცდის.

ლეიტენანტ ერემეევის ასეულმა 3 საათის ბრძოლის შემდეგ დიაკავა მოწინააღმდეგის ძლიერ გამაგრებული ზღუდე და სოლოვეთ ღრმად შეიჭრა მის საბრძოლო წყობებში. ერემეევმა ორგვლივი თავდაცვა მოაწყო, ამასთან ძალების ნაწილი რეზერვში დატოვა. მზვერავები განუწყვეტლივ ეწეოდნენ მეთვალყურეობას.

საღამოსათვის გერმანელ მეავტომატეთა ორმა დიდმა ჯგუფმა იერიში მოიტანა ჩვენი ასეულის ფლანგებზე. მათ ტყვიამფრქვევების, ავტომატებისა და შაშხანების შეწყობილი ცეცხლით შეხვდნენ. ჩვენი მებრძოლნი სარგებლობდნენ წინათვე ამორჩეული ორიენტირებით და დამიზნებულ სროლას ეწეოდნენ. გერმანელმა მეავტომატეებმა 50 გვამი დასტოვეს ბრძოლის ველზე და უკუიქცნენ.

მალე განმეორდა მტრის კონტრიერიში. ჰიტლერელებმა იფიქრეს, მსროლელთა ასეული უმწეოა მოძრავ საშუალებათა წინააღმდეგო, და იერიშზე გადმოიყვანეს სამი თვითმავალი ქვემეხი და ერთი ჯავშნიანი ავტომანქანა. ისინი ჭაობიან, ყუმბარებით გადათხრილ მინდორზე კლაკნილად მოდიოდნენ და სვლის დროს არ შეეძლოთ დამიზნებული სროლა ეწარმოებინათ. ერემეევმა წინ წასწია ჯავშანმტვრეველნი. ისინი მოთმინებით ელოდებოდნენ მომენტს, როცა შესაძლებელი იქნებოდა მიბრჯენით აუცდენლად დარტყმა მსროლელებმა და მეტყვიამფრქვეველებმა პირველებმა გააჩაღეს ცეცხლი. ამან საბოლოოდ დაარწმუნა გერმანელები, რომ გზა უშიშარია. ზარბაზნები 500 მეტრზე მოახლოვდა. რიგითმა მებრძოლმა ჩერნიახოვსკიმ ტანკსაწინააღმდეგო თოფი გაისროლა. ორმა მარჯვე ტყვიამ ცეცხლი წაუკიდა ერთ ზარბაზანს. მალე ასეთივე ბედი ეწია ჯავშნიან ავტომანქანასაც. ორი გადარჩენილი თვითმავალი ქვემეხი გატრიალდა და მთელი სიჩქარით გაექანა უკან. მათი შიყოლით იწყეს უკანდახევა გერმანელმა მეავტომატეებმა. მაშინ ერემეევმა დასძრა თავისი ასეული, დაედევნა მოწინააღმდეგეს და კიდევ ერთი ზღუდიდან განდევნა იგი.

საბჭოთა მეომრები თავიდან იცილებენ მტრის კონტრდარტყმებს, განუხრელად სდევნიან მოწინააღმდეგეს, აქუცმაცებენ მის საბრძოლო წყობებს, ნაწილ-ნაწილ სპობენ მას.

ვ. ფილკინი

მოსკოვის უმაღლესი სასწავლებლები—განთავისუფლებული ქალაქების უმაღლეს სასწავლებლებს

მოსკოვის უდიდესმა უმაღლესმა სასწავლებლებმა შეფობა აიღეს განთავისუფლებულ რაიონების უმაღლეს სასწავლებლებზე.

ლომონოსოვის სახელობის მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტმა მჭიდრო კავშირი დამყარა ხარკოვის უნივერსიტეტთან. იგი მხურვალე მონაწილეობას იღებს მისი სასწავლო მუშაობის აღდგენაში, კათედრებისა და კაბინეტების მოწყობაში. მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტმა ხარკოვის უნივერსიტეტს გადმოუყო 70 ათასი წიგნი, გეოგრაფიული რუკები, მოწყობილობა ქიმიური და ფიზიკური კაბინეტებისათვის. მოსკოვის ენერგეტიკული ინსტიტუტი დიდ დახმარებას უწევს ხარკოვის ენერგეტიკული ინსტიტუტის აღდგენის საქმეს. მოსკოვის საქალაქო პედაგოგიურმა ინსტიტუტმა ამას წინათ 10 ყუთი მოწყობილობა გაგზავნა საშეფო კრასნოდარის პედაგოგიური ინსტიტუტის კათედრებისა და სასწავლო კაბინეტებისათვის და ბევრ სასწავლო სახელმძღვანელოსა და ლიტერატურას უგზავნის მას. (საკდესი).

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოსაგან

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ღრმა მწუხარებით აუწყებენ საქართველოს პარტიულ ორგანიზაციებს და ყველა მშრომელს, რომ გარდაიცვალა ლენინ-სტალინის პარტიის უხუცესი მოღვაწე, მშრომელთა საქმისათვის თავდადებული მებრძოლი, საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის წევრი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი

ამხ. ემელიან იაროსლავსკი.

გარდაცვალება ამხ. იაროსლავსკისა, რომელმაც მთელი თავისი სახალხოვანი სიცოცხლე და მთელი თავისი ძალები ხალხის კეთილდღეობას მოანდომა, დიდი დანაკლისია პარტიისა და საბჭოთა კავშირის მშრომელებისათვის.

საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტი — სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭო

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისაგან

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ღრმა მწუხარებით იუწყებს, რომ გარდაიცვალა ლენინ-სტალინის პარტიის უხუცესი მოღვაწე, მშრომელთა საქმისათვის თავდადებული მებრძოლი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი

ამხ. ემელიან მიხეილის-ძე იაროსლავსკი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსაგან

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ღრმა მწუხარებით აუწყებენ საქართველოს პარტიულ ორგანიზაციებს და ყველა მშრომელს, რომ გარდაიცვალა ლენინ-სტალინის პარტიის უხუცესი მოღვაწე, მშრომელთა საქმისათვის მტკიცე მებრძოლი, საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის წევრი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი

ამხანაგი ემელიან იაროსლავსკი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი — საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო

წითელი არმიის ოფიცერთა, სერჟანტთა და წითელარმიელთა დაჯილდოება სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით

გერმანელ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლის ფრონტზე სარდლობის საბრძოლო დავალებათა სანიმუშოდ შესრულებისა ვის და ამასთან გულადობისა და მამაცობისა გამოჩენისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სახელით დაჯილდოებულ არიან:

წითელი დროშის ორდენით

1. ოდიშარია ანტონ ლარიონოვის-ძე — წითელარმიელი
2. თევდორაძე სიმონ პეტრეს-ძე — ლეიტენანტი.

სამამულო ომის მეორე ხარისხის ორდენით

1. ბარამიძე გრიგოლ ალექსის-ძე — უფროსი ლეიტენანტი
2. ღინგარაძე ალექსანდრე იოსების-ძე — ლეიტენანტი
3. დონაძე სერგო თადეოზის-ძე — უმცროსი ლეიტენანტი
4. კალანდაძე არჩილ ილიას-ძე — ოფროსი ლეიტენანტი
5. მენთეშაშვილი მიხეილ სოლომონის-ძე — ჰაიორი
6. მინდაძე გრიგოლ ივანეს-ძე — ამედიცინო სამსახურის მაიორი.

წითელი ვარსკვლავის ორდენით

1. აფციაური გიორგი ალექსის-ძე — ეფრეიტორი
2. გაზარაშვილი იოსებ ზაქარიას-ძე — ხემდეგი
3. ბალანწარაშვილი ვასილ გიორგის-ძე — სერჟანტი
4. ვაშალომიძე დავით დოროფეის-ძე — ლეიტენანტი
5. გელოვანი აკაკი ანტონის-ძე — უფროსი ლეიტენანტი
6. გაფრინდაშვილი მიხეილ გრიგოლის-ძე — ლეიტენანტი
7. გოგრჩიანი ვალერიან ნესტორის-ძე — წითელარმიელი
8. ლლონტი ნოდორ ათანასეს-ძე — უფროსი ლეიტენანტი
9. ჯანბერიძე გიორგი რაფიელის-ძე — ლეიტენანტი
10. დვალაძე შოთა ვასილის-ძე — უფროსი სერჟანტი
11. ჯავახიშვილი ნიკო რომანოზის-ძე — სერჟანტი
12. ჯაფარიძე არჩილ ნიკოს-ძე — უფროსი სერჟანტი
13. ჯიმშერაშვილი სიმონ ალექსის-ძე — წითელარმიელი

საბჭოთა კავშირის გმირები: უფროსი ლეიტენანტი ვ. კ. ხარაზია, კაპიტანი მ. ლ. გახოკიძე, ზემდეგი ნ. ჯ. ადამია, მაიორი ა. ს. გეგეშიძე, მაიორი ჯ. ე. ბენდელიანი, კაპიტანი ა. ზ. პირმისაშვილი, პოლიტხელი ვ. ა. ქანქაშა, კაპიტანი ვ. მ. ლურსმანაშვილი, პოდპოლკოვნიკი მ. ს. დიასამიძე, მაიორი ხ. ჯ. კეთილაძე, ლეიტენანტი ხ. კ. კოტლოვი, სერჟანტი ნ. ი. გოგიჩაიშვილი, მაიორი გ. გ. გოცირიძე, უფროსი ლეიტენანტი ლ. ვ. ჩუბინიძე, გვარდიის უმცროსი ლეიტენანტი ვ. ლ. ბერიშვილი, გვარდიის უფროსი სერჟანტი გ. მ. ბუაჩიძე, კაპიტანი ი. ნ. ციციშვილი, უმცროსი ლეიტენანტი კ. ე. ტყაბლაძე, ლეიტენანტი პ. ლ. წიკარიძე, უფროსი ლეიტენანტი ვ. ს. ჩოჩიევი.

ერთი ქარხნის ინტელიგენცია

(ზესტაფონი „კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტისაგან)

დიდმა ბელადმა ამხანაგმა სტალინმა მაღალი შეფასება მისცა საბჭოთა ინტელიგენციის თავდადებულ მუშაობას ფრონტისა და ჩვენს ქვეყნისადმი დახმარების საქმეში. ეს მაღალი შეფასება მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად აღფრთოვანებს ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის ინტელიგენციასაც.

ფეროშენადნობთა ქარხნის კოლექტივს მრავალი ნიჭიერი, გამოცდილი და უნარიანი ინტელიგენტი ჰყავს. აქ თქვენ ნახავთ თავისი საქმის საუცხოოდ მცოდნე, ოსტატ მეტალურგს, ენერგეტიკოსს, ქიმიკოსს, კონსტრუქტორს, ეკონომისტს. ყველანი, ქარხნის კოლექტივთან ერთად, მეტი ლითონის გამოდნობისათვის მუშაობენ, ცდილობენ წინ წასწიონ ტექნიკური აზრი და ამით დააჩქარონ ვერაგი მტრის განადგურება.

ქარხნის ინტელიგენციის მხოლოდ რამდენიმე წარმომადგენელს დავასახელებთ.

რაფიელ აგლაძე. ახალგაზრდა ინჟინერი — დოცენტი. იყო მოსკოვის მენდელეევის სახელობის ქიმიური ინსტიტუტის ასპირანტი. აქ იწყება მისი შემოქმედებითი ნიჭის გამოვლინება. იგი დღედაღამ ლაბორატორიებში იყო, ღამეებს თეთრად ათენებდა — ელექტროლიზით მეტალური მარგანეცის მიღებაზე მუშაობდა. მიიღო კიდეც. ამით სამეცნიერო ხარისხიც მოიპოვა. მის გამოკვლევას მაღალი შეფასება მისცეს.

ლაბორატორიაში დაიბადა ახალი შენადნობი, ახალი ლითონი — პირველი საბჭოთა ქვეყანაში. მაგრამ მარტო ეს არ იყო საკმარისი. უმაღლესი ხარისხის ლითონი სამრეწველო მასშტაბით უნდა მიგვეღო. ეს განსაკუთრებით მოითხოვა ომიანობის მკაცრმა ვითარებამ, და ზესტაფონში შეიქმნა ახალი საამქრო. მას ამხ. აგლაძე აპროექტებს და ამონტაჟებს, ამ საქმეში მას ეხმარება გამოცდილი ინჟინერი გიორგი სიორიძე. იწყება ელექტროლიზური მეთოდით მეტალური მარგანეცის მიღება. ეს მეტალურგიაში ახლა ცნობილია აგლაძის მეთოდის სახელით, პირველად ზესტაფონში მიიღეს ეს შენადნობი. პირველი შემთხვევა როდია აქ ასეთი ამბავი. ქარხნის ინტელიგენციამ, კოლექტივმა შესძლო ათი წლის მანძილზე საბჭოთა კავშირში პირველად მიეღო ან აეთვისებინა 18 შენადნობი!

ამხ. რ. აგლაძე და გ. სიორიძე ახლა სტალინური პრემიის ლაურეატები არიან. მათი საამქრო საუცხოოდ მუშაობს. მარტო ნოემბერში ორჯერ გაადიდა პროდუქციის გამოშვება. მათ წინაშე უდიდესი პერსპექტივა ისახება.

დავით ჩიკაშუა და გრიშა შათირიშვილი. ნიჭიერი ინჟინერ-მეტალურგები. თანამედროვე მეტალურგიის მიღწევებზე გაიარეს პრაქტიკა და თავიანთი ცოდნა გაამდიდრეს საბჭოთა ინსტიტუტებსა და მეტალურგიულ ქარხნებში. ისინი რამდენიმე გამოგონებისა და რაციონალიზატორული წინადადების ავტორები არიან. აი ერთი მათგანი. მათ ფეროშარგანეცისა და სილიკომარგანეცის გამოდნობისას კაზმიდან გამორიცხეს კირქვა, შესცვალეს დნობის ტექნოლოგია. ამით 13,4 პროცენტით გაიზარდა ღუმელების წარადობა, 14,2 პროცენტით იზოგება ელექტროენერგია და საშობლო ღებულობს 700.000 მანეთის დანაზოგს.

ბარონ ლომთათიძე. გამოცდილი და უნარიანი ინჟინერია, ნოვატორი დნობის ტექნოლოგიაში. მან შესცვალა მეცირეანსშირბადიანი ფეროშარგანეცის დნობის ტექნოლოგიური პროცესი და რა მოხდა? ღუმელის წარადობა 32,5 პროცენტით გაიზარდა, ელექტროენერგია 24,5 პროცენტით იზოგება. წლიური ეკონომია 435.000 მანეთს უდრის.

შალვა მიქაშავიძე და ლავრენტი თარგამაძე. შრომისმოყვარე და საქმიანი ინჟინერები. განსაკუთრებით ერთი საკითხით დაინტერესდნენ. მეტალური მარგანეცის გამოდნობისას დარჩენილი წიდა გამოუყენებლად იკარგებოდა, იყრებოდა. იგი დიდძალ ალუმინს შეიცავდა და შესაძლებელი იყო მისგან სალეხი ქვების დამზადება. დაამუშავეს ტექნოლოგია, მოეწყო საამქრო და შედეგიც შესანიშნავია. ამ ქვებს დიდი გამოყენება აქვს დაზგათ და მანქანათმშენებლობაში, ხოლო ასეთი საამქრო პირველია ამიერ-კავკასიაში. წინასწარი არასრული გამოანგარიშებით წლიურად ამით ქარხანა 500.000 მანეთზე მეტ მოგებას მიიღებს. სამივე წინადადება წარდგენილია შავი მეტალურგიის სახალხო კომისარიატის მიერ გამოცხადებულ კონკურსზე.

ირაკლი ლორთქიფანიძე. ფეროშენადნობთა შესანიშნავი მცოდნე. იგი მუშაობდა ცნობილ მეტალურგ აკადემიკოს ბარდინთან. ახლა ქარხნის ტექნიკური განყოფილების უფროსი და არაერთი ნოვატორული აზრის თაოსანია.

კიდევ ბევრის ჩამოთვლა შეიძლება.

რამდენიმე სიტყვა იმ ადამიანებზე, რომლებიც თავკაცობენ ქარხნის კოლექტივს, მის ინტელიგენციას. ესენი არიან ამხანაგები **ივანე კეკელიძე, ვლადიმერ მელაძე** და **ალექსანდრე მესხი.** ჩვენი ტექნიკური ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლები, ქარხნის საპეს წარმმართველნი, მეტალურგიის ნოვატორები.

ზესტაფონელი მეტალურგები წარმატებებს აღწევენ. მდნობელების მხარდამხარ იბრძვიან ქარხნის ინტელიგენტები.

პ. ჯიოკაძე

საბჭოთა კავშირში

უკრაინის კომკავშირმა შეფობა აიღო დონბასზე

უკრაინის კომკავშირის ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო გადაწყვეტილება დონბასის ქვანახშირის მრეწველობის აღდგენაში კომკავშირული ორგანიზაციების მონაწილეობის შესახებ.

სტალინოს, ვოროშილოვგრადის, კიევის, ზაპოროჟიეს, ჩერნიგოვის, პოლტავისა და სუმის ოლქების კომკავშირულმა ორგანიზაციებმა შეფობა აიღეს 94 ძირითად შახტზე. ისინი დონბასში სამუშაოდ გზავნიან 40 ათას ახალგაზრდას. კომკავშირელები თავიანთ საწარმოებში აკეთებენ გამოუყენებელ ინსტრუმენტს, მოწყობილობასა და სამშენებლო მასალას, აძლიერებენ ბრძოლას დონბასის საწარმოთა დაკვეთების ვადამდე შესასრულებლად.

დონბასის ახალგაზრდა მუშების კვების გასუმჯობესებლად უკრაინის აღკკ ცენტრალურმა კომიტეტმა დაავალა კომკავშირულ ორგანიზაციებს დამატებით დასთესონ 7 ათასი ჰექტარი ბოსტნეული კულტურები, დონბასის ქვანახშირის საწარმოთა დამხმარე მეურნეობათათვის შეაგროვონ ბოსტნეულის 11.300 ცენტნერი თესლი.

დონბასში იგზავნებიან ლექტორთა ჯგუფები, საკონცერტო ბრიგადები, ბიბლიოთეკები, მუსიკალური ინსტრუმენტები, ბევრი ლიტერატურა (საკდესი).

სინათლე და წყალი ხარკოვს

ოკუპანტთაგან განთავისუფლების შემდეგ ხარკოვი ენერგეტიკული მატარებლიდან მიღებული ელექტრობით სარგებლობდა. 29 ნოემბერს მწყობრში შევიდა პირველი მძლავრი ტურბოგენერატორი, რომელმაც დენი მისცა ქალაქს.

ელექტროსადგურის ამუშავებით ბევრად გადიდდა წყლის მიწოდება, ახლდება ქალაქის საკანალიზაციო ქსელის ნორმალური მუშაობა. მთელი სიმძლავრით დაიწყეს მუშაობა № 1 აბანომ და ფაბრიკა-სამრეცხაომ (საკდესი).

კომკავშირულ-ახალგაზრდული ბრიგადების ძვირფასი თაოსნობა

ამხანაგ სტალინის მოხსენების პასუხად მოსკოვის საწარმოთა კომკავშირულ-ახალგაზრდული ფრონტული ბრიგადები გამოვიდნენ წინადადებით — შრომის ორგანიზაციის გაუმჯობესებითა და წარმოების რაციონალიზაციით შემცირდეს მუშათა ბრიგადების რიცხვი, პროდუქციის გამომუშავების შეუმცირებლად.

ორჯონიკიძის სახელობის ქარხანაში ოსტატ ამხ. სტეპენინის კომკავშირულ-ახალგაზრდულმა უბანმა გადაწყვიტა შეამციროს მომუშავეთა რიცხვი 21 კაციდან 15-მდე და ნოემბრის პროგრამა შეასრულოს დაწესებულ ვადაში. კაგანოვიჩის სახელობის 1-ლ სახელმწიფო საკისრის ქარხანაში ამხ. ბარიშნიკოვის ბრიგადა მუშაობს სამი კაცის შემადგენლობით, ნაცვლად ექვსისა, და წინანდელ გამომუშავებას იძლევა.

საკ. აღკკ ცენტრალურმა კომიტეტმა გამოიტანა დადგენილება, რომლითაც მოიწონა მოსკოვის საწარმოთა ფრონტული კომკავშირულ-ახალგაზრდული ბრიგადების თაოსნობა და წინადადება მისცა ყველა კომკავშირულ ორგანიზაციას ფართოდ გაავრცელონ მოწინავე ბრიგადების ინიციატივა (საკდესი).

ახალი ფილმი „ურალი სჯედავს გამარჯვებას“

ჩვენი ქვეყნის ეკრანებზე გამოშვებულია ახალი დოკუმენტალური ფილმი „ურალი სჯედავს გამარჯვებას“.

ფილმი შოგვითხრობს ურალის აურაცხელ სიმდიდრეზე, იარაღის ურალელ ოსტატთა სახელოვან ისტორიაზე, სტალინური ხუთწლედების განმავლობაში დიდ სამრეწველო ცენტრებად გარდაქმნილ ძველ ქარხნებსა და მუშათა დაბებზე.

სურათში ნაჩვენებია ურალის მჩქეფარე ცხოვრება დიდი სამამულო ომის დღეებში, დაძაბული რიტმი იმ ქარხნების მუშაობისა, რომლებიც ამზადებენ იარაღს და საჭურველს წითელ არმიისათვის (საკდესი).

ქვანახშირის ამოღების ნოემბრის გეგმა გადაჭარბებით არის შესრულებული

ქვანახშირის ამოღების ნოემბრის გეგმა მთლიანად სსრ კავშირის ქვანახშირის მრეწველობის სახალხო კომისარიატის აზით შესრულებულია 101,4 პროცენტით. პოლარულ-ურალეთ-ვორკუტა და საბადოს ტერიტორიებს მიეცა ასეულ ათასობით ტონა ქვანახშირი.

დიდი აღფრთოვანებით მუშაობდნენ ნოემბერში დონბასის მაღაროელნი. თვიური დავალება მათ 103,7 პროცენტით შეასრულეს.

პროგრამა გადაჭარბებით შეასრულეს კომბინატებმა „კუზბასუგოლმა“, „კემეროვოუგოლმა“ და სხვებმა (საკდესი).

ნავთის მრეწველობამ შეასრულა ნოემბრის გეგმა

ნავთის მრეწველობამ, მთლიანად აღებულმა, შეასრულა ნავთის მოპოვების ნოემბრის გეგმა. პროგრამა გადაჭარბებით შეასრულეს გროზნოს, კრასნოდარის, ბაშკირეთის, კუიბიშევის ნავთის კომბინატებმა და თურქმენეთის ნავთის ტრესტმა (საკდესი).

სოფლის მეურნეობის 300 ათასი მექანიზატორი

დეკემბრის შუა რიცხვებში ყველა ოლქში, მხარესა და რესპუბლიკაში მუშაობას იწყებენ სოფლის მეურნეობის მექანიზაციის სკოლები. ზამთრის განმავლობაში ამ სკოლებში მომზადებული იქნება 300 ათასზე მეტი ტრაქტორისტი, კომბაინერი, მექანიკოსი და სხვა სპეციალისტი.

გარდა ამისა, მტს-ებთან მოწყობილ ორთვიან კურსებზე გადამზადებული იქნება 100 ათასი ტრაქტორისტი და 20 ათასი კომბაინერი (საკდესი).

კულტურულ დაწესებულებათა აღდგენა უკრაინაში

გერმანელი ოკუპანტები აშკარად აცხადებდნენ, რომ უკრაინელი მოსახლეობა მათ მონურ მუშახელად მიაჩნიათ. ეს იმას ნიშნავდა, რომ უკრაინულ კულტურას ემუქრებოდა დაღუპვა, ხოლო უკრაინელ ხალხს — საშინელ მონობა.

ამჟამად უკრაინის იმ ოლქებში, რომლებიც განთავისუფლებული არიან ოკუპანტებისაგან, სწარმოებს კულტურულ დაწესებულებათა აღდგენა. დაწყებითი, არასრული საშუალო და საშუალო სკოლების ქსელი რესპუბლიკის განთავისუფლებულ ოლქებში აღდგენილია იმ ოდენობით, რომელიც უზრუნველყოფს სასკოლო ასაკის ყველა ბავშვის სწავლებას. სულ დნეპრის მარცხენა ნაპირის უკრაინაში ახლა ითვლება თითქმის 10 ათასი სკოლა, სადაც მოსწავლეთა საერთო კონტინგენტი მილიონნახევრამდეა. ეს რაოდენობა დღითიდღე მატულობს.

დნეპრის მარცხენა ნაპირის უკრაინის ყველა სოფელსა და დაბაში აღდგენილია ქოხ-სამკითხველოები, ბევრ ადგილას გახსნილია რაიონული ბიბლიოთეკები.

მუშაობა განაახლეს ხარკოვის უნივერსიტეტმა, 4 პედაგოგიურმა ინსტიტუტმა, 3 სამასწავლებლო ინსტიტუტმა, უცხო ენების ინსტიტუტმა, 8 პედაგოგიურმა სკოლამ, უკრაინის პედაგოგიკის სამეცნიერო-კვლევითმა ინსტიტუტმა (საკდესი).

სამკურნალო დახმარება სამამულო ომის ინვალიდებს

სსრ კავშირის ჯანსაღკომის კოლეგიამ განიხილა სამამულო ომის ინვალიდებისათვის სამკურნალო დახმარების საკითხი. მათთვის შექმნილია გადაუდებელი ქირურგიის 21 საავადმყოფო, 52 განყოფილება პოლიკლინიკებში, გამოყოფილია დიდძალი ადგილი სამეცნიერო-კვლევითს ინსტიტუტებში და 3.900 ადგილი კურორტებზე.

სსრ კავშირის ჯანსაღკომი მომავალი წლისათვის ითვალისწინებს სამამულო ომის ინვალიდებისათვის სპეციალურ სამკურნალო დაწესებულებათა ქსელის შემდგომ გაშლას.

(საკდესი).

ექვალინური კონსტიტუციის დღის აღსანიშნავად

მახარაძე („კომუნისტის“ საკ. კორ.). კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები და საწარმოები მაღალი საწარმოო მაჩვენებლებით ხვდებიან 5 დეკემბერს—სტალინური კონსტიტუციის დღეს. კოლმეურნეები დღითიდღე აძლიერებენ ფრონტისადმი დახმარებას. 3 დეკემბრისათვის კოლმეურნეობებმა გადაჭარბებით შეასრულეს სოიის ჩაბარების სახელმწიფო გეგმა. ჩაბარებულია 280 ტონა სოია. თავდაცვის ფონდში შეტანილია 88 ტონა სიმინდი. მარცვლეულის ჩაბარების სახელმწიფო ვალდებულების შესრულების და მტს-ებისათვის ნატურასაზღაურის გასტუმრების შემდეგ მოწინავე კოლმეურნეობებმა სახელმწიფოს დამატებით მიჰყიდეს 20 ათასი კილოგრამი სიმინდი. რაიონის სასოფლო საბჭოების უმრავლესობას გადაჭარბებით აქვს შესრულებული მიმდინარე წლის საგეგმო დავალებები. მოწინავეთა რიგებში არიან მერიის (თავმჯდომარე გოგიძე), ძიმითის (თავმჯდომარე მუხაშავრია) და ჯუმათის (თავმჯდომარე ჩხარტიშვილი) სასოფლო საბჭოები.

ციტრუსების დამზადების გეგმა გადაჭარბებით შეასრულეს სოფ. მერიის კიროვის სახელობის, სოფ. ნიღიბლევის ტელმანის სახელობის, სოფ. ჯუმათის სტალინის სახელობის კოლმეურნეობებმა, კონჭკათის კოლმეურნეობა „ახალმა ცხოვრებამ“ და თხინვალის კოლმეურნეობა „ჩაქუჩ-ნამგალმა“. სამეურნეო წელი წარმატებით დაამთავრეს ლაითურის კიროვის სახელობის, ნასაკირალისა და წვერმაღალას ჩაის საბჭოთა მეურნეობებმა.

რაიონის ადგილობრივმა მრეწველობამ წლიური გეგმა 3 დეკემბრისათვის 102 პროცენტით შეასრულა. ვალდებულებები გადაჭარბებით შეასრულეს საპნისა და ასანთის საწარმოებმა. აბრეშუმის ფაბრიკამ შეასრულა ნოემბრის დავალება. მთელმა რიგმა მუშებმა წლიური დავალება დიდი გადაჭარბებით შეასრულეს. სტახანოველმა სონია ჯიქიამ კონსტიტუციის დღისათვის წლიური დავალება 290 პროცენტით შეასრულა.

ლ. ლოლაძე

ახალი წარმატებებით

აბაშა („კომუნისტის“ კორ.). რაიონის მშრომელები, აღფრთოვანებულნი დიდი ბელადის ამხანაგ სტალინის ისტორიული მოხსენებითა და ბრძანებით, დაუღალავად იბრძვიან ფრონტისადმი დახმარების გაძლიერებისათვის. მარცვლეულის 1943 წლის მთელი მოსავალი 13.000 ჰექტარზე აღებულია. უხვი მოსავლის მიღების საქმეში განსაკუთრებით ისახელეს თავი ახალი აბაშის ბაქრაძის სახელობის (თავმჯდომარე კლ. ცომაია), ნორიოს ბერიას სახელობის (თავმჯდომარე შ. ჩაჩავა), სუჯუნის ორჯონიკიძის სახელობის (თავმჯდომარე კ. ჯოჯუა) კოლმეურნეობებმა, კეთილარის კოლმეურნეობა „ჩვენმა მიღწევამ“ (თავმჯდომარე ევ. ვაშალომიძე). ამჟამად კოლმეურნეობები ემზადებიან მომდინარე წლის მოსავლისა და შემოსავლის სწორად განაწილებისათვის, ამთავრებენ აგრეთვე ჩაისა და ციტრუსოვანი ნარგავების საშემოდგომო სამუშაოებს.

კოლმეურნეობებმა აბაშის მტს-ის მიერ 1943 წელს შესრულებული სამუშაოების ნატურანაზღაურებისათვის მარცვლეულის ჩაბარების გეგმა 17 ნოემბრისათვის შეასრულეს. იმავე რიცხვისათვის მტს-ის ნატურანაზღაურების 1944 წლის ანგარიშში სახელმწიფოს ავანსად ჩააბარეს 10 ტონა მარცვლეული, აგრეთვე ჩაბარებულ იქნა ხორცი 1944 წლის ანგარიშში ავანსად 591 ცენტნერი. შექმნილია ყოველგვარი პირობა პირუტყვის წესიერი გამოზამთრებისათვის.

წითელ ფრონტელთა ოჯახების დახმარების მეორე კვირეულში რაიონში შეგროვდა 70 ტონა სიმინდი, 2.385 კილოგრამი ლობიო, 285 კილოგრამი ყველი, 189 ფრთა ქათამი, 3.489 ცალი კვერცხი, 40 კუბური მეტრი შეშა და ფულად 45 ათასი მანეთი, გარდა ამისა, სამხედრო მოსამსახურეთა მრავალ ოჯახს შეუკეთდა საცხოვრებელი ბინები და მომარაგდა შეშით.

სტალინური კონსტიტუციის დღესთან — 5 დეკემბერთან **ბაკაშვილების** ბაბაშის რაიონის მშრომელები პირობას იძლევიან, რომ კიდევ უფრო დაუღალავად იმუშავებენ ზურგში და დაეხმარებიან ფრონტსა და ჩვენს ქვეყანას გერმანიის პირსისხლიანი ფაშიზმის საბოლოო განადგურების დაჩქარებაში.

პრ. ჩაგანავა

აძლიერებენ მუშაობის ჯემპრებს

ჩხოროწყუ („კომუნისტის“ საკ. კორ.). დიდი **სტალინის** ისტორიულმა მოხსენებამ და ბრძანებამ რაიონის მშრომელებში ახალი შრომითი ენტუზიაზმი გამოიწვია. ჩხოროწყუს ჩაის ფაბრიკის მუშებმა იკისრეს ახალი ვალდებულებები, რასაც წარმატებით ასრულებენ. სტახანოველმა ანა საკასიონოვამ დღიური დავალება 251 პროცენტით შეასრულა, დუსია სეროვამ ბრეხის ნორმა 273 პროცენტით გაანაღდა, ნინო პისმენაიამ კი—257 პროცენტით.

სოფელ ჭოდის ჩარკვიანის სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა 9 წითელარმიელის ოჯახს გაუწიეს დახმარება შეშით, 2 წითელარმიელის ოჯახს გადაუხურეს სახლი, წითელარმიელთა ოჯახების დასახმარებლად შეგროვილ იქნა 300 კილოგრამი სიმინდი.

კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობაში და ჩაის ფაბრიკაში ბელადის მოხსენების პასუხად აძლიერებენ მუშაობის ტემპებს და ახალი წარმატებებით ხვდებიან 5 დეკემბერს—სტალინური კონსტიტუციის დღეს.

ნ. ჯანჯღავა

წლიური საწარმოო გეგმები შეასრულეს

თბილისის ხორცკომბინატის მუშაკთა კოლექტივმა (დირექტორი ამხ. სანაძე, პარტბიუროს მდივანი ამხ. რამიშვილი) წლიური საწარმოო გეგმა ვადაზე ადრე, 1 დეკემბრისათვის 100,2 პროცენტით შეასრულა.

* * *

თბილისის ფეხსაცმლის სამოდელო ფაბრიკამ წლიური საწარმოო დავალება ვადაზე ადრე, 1 დეკემბრისათვის, შეასრულა 100 პროცენტით.

* * *

თბილისის შამპანური კომბინატის კოლექტივმა (დირექტორი ამხ. ნ. ყიფლტი, პარტბიუროს მდივანი ამხ. გ. მელიკოლუპოვი) წლიური გეგმა შეასრულა 1 დეკემბრისათვის 108 პროცენტით.

* * *

„სამტრესტის“ ლვინის მეორე ქარხანამ (დირექტორი ამხ. მ. პირველი) წლიური გეგმა ვადაზე ადრე, 1 დეკემბრისათვის, 102 პროცენტით შეასრულა.

საქ. ალკკ თბილისის კომიტეტის პლენუმი

3 დეკემბერს შესდგა საქ. ალკკ თბილისის კომიტეტის XII პლენუმი, რომელმაც განიხილა შემდეგი საკითხები: თბილისის მრეწველობისა და ტრანსპორტის კომკავშირულ ორგანიზაციებში კულტურულ-მასობრივი მუშაობის დაყენებისა და თბილისის კომკავშირული ორგანიზაციების ზრდისა და ახალმიღებულთა შორის მუშაობის შესახებ.

პირველ საკითხზე მოხსენება გააკეთა საქ. ალკკ თბილისის კომიტეტის მდივანმა აგიტაციისა და პროპაგანდის დარგში ამხ. ე. ალანიამ.

როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, თბილისის კომკავშირული ორგანიზაციები თავის ყოველდღიურ საქმიანობაში სერიოზულ ყურადღებას უთმობენ კულტურულ-მასობრივ მუშაობას ახალგაზრდობაში, გონივრულად აწყობენ ახალგაზრდობის დასვენებას. მომდინარე წელს ქალაქის ახალგაზრდობისათვის ჩატარებულია 216 ლექცია და მოხსენება. საქ. ალკკ ბერიას, ორჯონიკიძის, 26 კომისრის რაიკომები აწყობენ საღამოებს, რომლებზეც ხდება ძველი ბოლშევიკების, პარტიზანების, სამამულო ომის მონაწილეების შეხვედრა ახალგაზრდობასთან, მხატვრული თვითმოქმედების ჩვენება. კალინინის სახელობის ქარხნის კომკავშირული ორგანიზაცია ახალგაზრდობაში პოლიტინფორმაციებთან ერთად ატარებს საუბრებს მეგობრობაზე, კომუნისტურ მორალზე. ახალგაზრდები კოლექტიურად კითხულობენ მხატვრულ ლიტერატურას, ესწრებიან კინოსურათებს და სხვ.

ქალაქის ზოგიერთი კომკავშირული ორგანიზაცია სათანადო ყურადღებას არ უთმობს ახალგაზრდობაში კულტურულ-მასობრივი მუშაობის მოწყობის საქმეს, სუსტად მუშაობსაბ მხრივ უნაგირების ფაბრიკისა და ზოგიერთი სხვა პირველადი კომკავშირული ორგანიზაციები.

მოხსენების გარშემო გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღეს კ. გოგლიძემ, კ. ვერიეანმა, გ. გოშაძემ, ა. ფუტკარაძემ, გ. დომენიკმ, დ. ყიფიანმა, ს. პაპიანმა, ნ. ლაბარტყავამ, ჭ. ჩიტიძემ. მათ პლენუმზე დამსწრეებს გაუზიარეს ახალგაზრდობაში კულტურულ-მასობრივი მუშაობის მოწყობის თავიანთი გამოცდილება.

მეორე საკითხზე მოხსენებით გამოვიდა საქ. ალკკ თბილისის კომიტეტის საორგანიზაციო-საინსტრუქტორო განყოფილების გამგე ამხ. ლ. ტყეშელაშვილი.

მოხსენების გარშემო გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღეს ა. ფარულავამ ბ. მირიანაშვილმა, ი. დომუნიანმა, ლ. ბოიახჩევმა, ე. გოგიაშვილმა.

ორივე საკითხზე მიღებულ იქნა სათანადო დადგენილებანი.

პლენუმმა განიხილა აგრეთვე ორგანიზაციული საკითხი.

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობას იღებდნენ საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის მდივანი ამხ. ე. ჩერქეზია და საქ. ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. მ. ბალავაძე.

გ. ო. სტურუა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე

სჯალინური კონსტიტუციის დღე

დღეს შვიდი წელი სრულდება იმ დღიდან, რაც მიღებულ იქნა დიადი სტალინური კონსტიტუცია,—უდიდესი მოვლენა არა მარტო სსრ კავშირის ხალხთა ცხოვრებაში, არამედ მთელი კაცობრიობის ისტორიაში.

ცნობილია, რომ სტალინურ კონსტიტუციას საფუძვლად დაედო უდიდესი ცვლილებები, რაც მოხდა საბჭოთა ეკონომიკასა და ჩვენი საბჭოთა საზოგადოების კლასობრივ სტრუქტურაში.

საბჭოთა ხალხმა, ბოლშევიკების პარტიის ხელმძღვანელობით, მოიპოვა ისტორიული მიღწევები: ა) შექმნილია **მძლავრი** სოციალისტური მრეწველობა. მოწინავე თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი; ბ) ჩვენს ქვეყანას მოეპოვება მსოფლიოში ყველაზე მსხვილი მაშინიზებული სასოფლო მეურნეობა, ნაცვლად წინათ არსებული წვრილი დაჩაქსული ინდივიდუალური სასოფლო მეურნეობისა. საკოლმეურნეო წყობილების დიადმა ძალამ და ცხოველუნარიანობამ თავი იჩინეს ომის დღეებში; გ) ახალმა საბჭოთა ვაჭრობამ — ვაჭრობამ უსაკუალანტებოდ, სახელმწიფოს და კოოპერაციის ხელში მოაქცია მთელი შინაგანი საქონელბრუნვა.

ჩვენმა სოციალისტურმა სახელმწიფომ ღირსეულად გაუძლო გერმანელი ფაშისტი დამპყრობლების წინააღმდეგ სამამულო ომი უდიდეს, მკაცრ განსაცდელს.

საბჭოთა კავშირის ძალის ერთ-ერთ წყაროს წარმოადგენს სსრ კავშირის ხალხთა ურღვევი ლენინურ-სტალინური მეგობრობა.

საბჭოთა ქვეყანა მრავალეროვანია. მასში ცხოვრობს 60-მდე ერი, ნაციონალური ჯგუფი და ეროვნება.

ჩვენს წინაშე იდგა ისტორიული ამოცანა —მოგვეგვარებინა „ხალხთა ძმური თანამშრომლობა ეკონომიური, პოლიტიკური და სახელმწიფო ურთიერთდახმარების ბაზაზე, მათ ერთ საკავშირო მრავალეროვან სახელმწიფოდ გაერთიანებით“ (**სტალინი**). ლენინურ-სტალინური ნაციონალური პოლიტიკის დროშის ქვეშ ეს ამოცანა წარმატებით იქნა გადაჭრილი. მხოლოდ სოციალიზმის ბაზაზე **არის** შესაძლებელი ნაციონალური საკითხის სწორი და ბოლომდე თანმიმდევრული გადაჭრა და მტკიცე მრავალეროვანი სახელმწიფოს შექმნა. ცხოვრებამ სავსებით დაადასტურა. ამ ლენინურ-სტალინური დებულების სიმართლე. ამან განსაკუთრებით მკაფიოდ იჩინა თავი დიდი სამამულო ომის დღეებში, როდესაც საბჭოთა კავშირის ყველა ხალხი, თავისი უფროსი ძმის—დიდი რუსი ხალხის—მეთაურობით მხარდამხარ გმირულად და ვეჟაკაცურად იბრძვის გერმანელი დამპყრობლების წინააღმდეგ, „აყენებს მათ გამანადგურებელ დარტყმებს, აშენებს მათგან შშობლიურ წმიდათა-წმიდა საბჭოთა მიწა-წყალს, იცავს თავისი დიადი სოციალისტური სამშობლოს ღირსებას, თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას.

საბჭოთა კავშირის ხალხები სამამულო ომის დღეებში კიდევ უფრო გამობრძმედნენ და შემჭიდროვდნენ, და მსოფლიოში არ მოიპოვება ისეთი ძალა, რომელსაც შეეძლოს მათი გათიშვა.

სსრ კავშირის მოძმე ხალხები ურღვევად შემჭიდროებულნი არიან ბოლშევიკების პარტიის გარშემო, საბჭოთა მთავრობის გარშემო, დიდი ბელადის—ამხანაგ **სტალინის** გარშემო.

ომის საფუძველს, რომ საბჭოების ქვეყანაში მოხერხდა ბრწყინვალედ გადაგვეჭრა ნაციონალური საკითხი და შეგვექმნა „მრავალეროვანი სოციალისტური სახელმწიფო, რომელმაც ყოველგვარ განსაცდელს გაუძლო და რომლის სიმტკიცეც შეშურდებოდა რომელიც გნებავთ ნაციონალურ სახელმწიფოს ქვეყნიერების რომელიც გნებავთ ნაწილში“ (**სტალინი**), წარმოადგენს ის ფაქტი, რომ ჩვენს ქვეყანაში ექსპლოატატორული კლასების და ექსპლოატაციის არარსებობამ, ხელისუფლების სათავეში მუშათა კლასის — ინტერნაციონალიზმის იდეების მატარებლის ყოფნამ, ხალხთა ურთიერთდახმარებამ ცხოვრების ყველა დარგში. სსრ კავშირის ხალხთა ფორმით ნაციონალური. შინაარსით სოციალისტური კულტურის აყვავებამ გამოიწვია ხალხთა ძმური თანამშრომლობა ერთიან საკავშირო სახელმწიფოს სისტემაში.

საბჭოების სრულიად-საკავშირო საგანგებო VIII ყრილობაზე 1936 წლის 25 ნოემბერს ამხანაგმა **სტალინმა** თავის მოხსენებაში „სსრ კავშირის კონსტიტუციის პროექტის შესახებ“ სთქვა, რომ სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის პროექტის ერთ-ერთ თავისებურებას წარმოადგენს ის, რომ „მისთვის არ არსებობენ აქტიური ან პასიური მოქალაქენი, მისთვის ყველა მოქალაქე აქტიურია. იგი არა სცრნის განსხვავებას მამაკაცთა და დედაკაცთა, „ბინადართა“ და „არაბინადართა“, მქონებელთა და უქონელთა, განათლებულთა და გაუნათლებელთა უფლებებში. მისთვის ყველა მოქალაქე თანასწორია თავის უფლებებში. არა ქონებრივი მდგომარეობა, არა ნაციონალური წარმოშობა, არა სქესი, არა სამსახურებრივი მდგომარეობა, არამედ თვითეული მოქალაქის პირადი უნარი და პირადი შრომა განსაზღვრავენ მის მდგომარეობას საზოგადოებაში“.

საბჭოთა ხალხის „მორალურ-პოლიტიკური ერთიანობა წარმოადგენს მძლავრ ძალას გერმანელ ფაშისტ დამპყრობლებთან ბრძოლაში. საბჭოთა ხალხმა მოიპოვა მთელი მოწინავე პროგრესიული კაცობრიობის მიერ აღიარება იმ ფაქტისა, რომ თავისი გმირული წინააღმდეგობით, თავისი გამანადგურებელი დარტყმებით მტრის წინააღმდეგ, — საბჭოთა კავშირი მთელ კაცობრიობას იხსნის მონობისაგან, რომლის უღელიც გერმანულ ფაშიზმს უნდოდა დაედგა ჩსოფლიოს ხალხებისათვის.

დღეს, იმ ისტორიულ გამარჯვებათა დღეებში, რაც მოიპოვა წითელმა არმიამ, რომელმაც ჰიტლერული გერმანია გარდუვალი კატასტროფის წინაშე დააყენა,—განსაკუთრებით საინტერესოა გავიხსენოთ, თუ როგორ შეხვდა ჰიტლერული ბანდა სტალინური კონსტიტუციის პროექტს. ცნობილია, რომ ფაშისტური პრესა სტალინური კონსტიტუციის პროექტის გამოქვეყნებას პირველ პერიოდში ცდილობდა საერთოდ დუმილით

ხაბარ მასალათა სახალხო კომისარიატის მოწინავე 5 ქარხანაში. სამახოვანი კომკავშირელი ლიოლია რიაბოვა ამოწმებს ნაღმების დაყალიბებას.

ფოტო ვ. ბაიდალოვისა (საკავშირო ფოტოქრონიკა)

ᲐᲒᲘᲢᲐᲢᲝᲠᲘᲡ ᲬᲘᲒᲜᲘᲡᲐᲒᲐᲜ

ᲠᲝᲒᲝᲠ ᲕᲘᲧᲔᲜᲔᲑ ᲐᲒᲘᲢᲐᲪᲘᲐᲡ ᲡᲐᲬᲐᲠᲛᲝᲝ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲑᲠᲫᲝᲚᲐᲨᲘ

— მეტი ორთქლმავალი დედა სამშობლოს, ფრონტს!—ასეთია იმ უბნის ამოცანა, სადაც მე აგიტატორად ვმუშაობ. და ჩემი აგიტაციაც ამ ამოცანის წარმატებით შესრულებისაკენ არის მიმართული. ვცდილობ სათანადოდ გამოვიყენო ის მდიდარი სააგიტაციო მასალა, რომელიც ამჟამად — სამამულო ომის დღეებში აგიტატორის განკარგულებაშია. საუბრისთვის ყოველთვის წინასწარ ვემზადები, ვარჩევ მასალებს. აგიტატორს ფასდაუდებელ სამსახურს უწევს საბჭოთა საინფორმაციო ბიუროს ცნობები. გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ სამამულო ომის ვითარებაში საბჭოთა ზურგის, კერძოდ ტრანსპორტელების საგმირო საქმეებზე მასალებს, წერილებს გაზეთებიდან და ჟურნალებიდან ვიღებ. ამასთან, როცა სამუშაო დღე დამთავრდება, ჩემი უბის წიგნაკითა და ფანქრით საამქროს კანტორას მივაკითხავ, ჩავიწერ დღიური მუშაობის შედეგებს, ცალკეული მუშის გამომუშავების ნორმებს. როცა მასალებს დავაგროვებ, ვაჯამებ მათ, ამოვკრებ მთავარს და ვაკეთებ სათანადო ჩანაწერებს.

აგიტაციას ყოველდღიურად ვატარებ. საჭიროების დროს რუკასაც ვიყენებ. როცა მე ყოველნაირად ვცდილობ ჩემმა საუბარმა აამაღლოს მსმენელების პოლიტიკური და კულტურული დონე და დარაზმოს ისინი ქვეყნის ინტერესებისათვის, ამავე მოთხოვნილებას, შეიძლება ითქვას, ჩემს თავს უფრო ფართოდ ვუყენებ. ვცდილობ ჩემი პრაქტიკული საქმეებითაც გავიყოლიო ისინი. ეს უფრო შედეგიანია.

თუ ჩემი უბნის რომელიმე მუშა ჩამორჩა, ასეთ შემთხვევაში ორმაგ მუშაობას ვატარებ. აგიტაციის დროსაც ვამახვილებ ამ საკითხზე ყურადღებას, შემდეგ ცალკე ვსაუბრობ მასთან და პრაქტიკულადაც ვეხმარები მას ჩამორჩენის აღმოფხვრაში.

ამას წინათ ჩვენს საამქროში ახალგაზრდა მუშა კ. აზატოვი მოვიდა. ცხადია, მან პირველ ხანებში მუშაობა არ იცოდა. იგი მე ავიყვანე აღსაზრდელად. აგიტაციაზეც მე მესწრებოდა. ყოველდღიურად ვეხმარებოდი მას, ვუხსნიდი ორთქმავლის დეტალებს, ვასწავლიდი, თუ როგორ უნდა ეწარმოებინა მისი შეკეთება. მონდომებული და საზრიანი მუშა დადგა. 3 თვეში სპეციალობას დაეუფლა. მესამე თანრიგის ზეინკალი გახდა. ერთი თვე კიდევ დავტოვე ჩემს მეთვალყურეობაში, საკმაო სანარმოო გამოწრთობა შეიძინა და დამოუკიდებელ სამუშაოზე გადაიყვანეს. ახლა იგი დავალებებს ორმაგად ასრულებს. ამჟამად კოლმეურნეობიდან ჩვენს საამქროში ახალმოსულმ. მირუაშვილს ვასწავლი ხელობას, საუბრებითა და პრაქტიკული დახმარებით ვცდილობ ავამაღლო მისი პოლიტიკური დონე და მივცე საწარმოო გამოწრთობა.

საამქროს წინაშე დასმული ყველა ახალი ამოცანა ჩემი, როგორც აგიტატორის, საბრძოლო ამოცანაა და მას დაუყოვნებლივ ვეხმაურები. როცა ჩვენი საამქრო წინასაოქტომბრო სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაება და იკისრა გეგმის გადამეტებით საგამრეცხო შეკეთებიდან 5 ორთქმავლის გამოშვება, მე ვცდილობდი ჩემი აგიტაციით დავხმარებოდი საამქროს კოლექტივს ამ საბრძოლო ვალდებულების განაღდებაში. ყოველდღიურად ვსაუბრობდით სოცშეჯიბრების მიმდინარეობაზე, ვახდენდით აზრთა გაცვლა-გამოცვლას. ოქტომბრის დღესასწაულისათვის საამქრომ გეგმის ზევით 5-ს ნაცვლად 10 ორთქმავალი გამოუშვა შეკეთებიდან.

მოახლოვდა ზამთარი. ზამთრისათვის მზადება ერთ-ერთი სპასუხისმგებლო მომენტია ტრანსპორტის ცხოვრებაში. ორთქმავალმა რომ შეუფერხებლად იმუშაოს, საჭიროა მისი დროზე ჯაბუნება. დიდი ხანია, რაც ამ საკითხზე ვესაუბრე მუშებს. ამჟამად ყველა ჩვენი ორთქმავალი მზად არის ზამთრისათვის.

დიდი სტალინის საოქტომბრო მოხსენების პასუხად ახალი ძალით გაჩაღდა სოცშეჯიბრება. საამქროს კოლექტივმა კვლავ ახალი ვალდებულებანი იკისრა. აგიტაციის დროს, როცა დიდი ბელადის ისტორიულ მოხსენებაზე ვესაუბრები მუშებს, მათს გულისყურს მივაპყრავ იმ ამოცანებისაკენ, რასაც ბრძენი ბელადის მოხსენება აკისრებს ტრანსპორტელებს, კერძოდ კი, რაც ჩვენი საამქროს კოლექტივს ეკისრება. ჩვენი საამქრო ამ ახალ ვალდებულებასაც წარმატებით გაანაღდებს. ამის თავდებია ის უჩვეულო საწარმოო აღმავლობა, რომელიც გამოიწვია იმ მაღალმა შეფასებამ, რაც დიდმა ბელადმა რკინიგზის ტრანსპორტის მუშაობას მისცა თავის ისტორიულ საოქტომბრო მოხსენებაში.

დ. ᲗᲐᲕᲫᲘᲐᲜᲘᲫᲔ

თბილისის ხორთქლმავლო დეპოს ხაგამრეცხო საამქროს აგიტატორი.

ამ დღეებში 5 აეროდრომზე ცნობილმა საბჭოთა ავიაკონსტრუქტორმა, სოციალისტური შრომის გმირმა, სტალინური პრემიის ლაურეატმა ა. ს. იაკოვლევმა სახელგანთქმულ მფრინავ-გამანადგურებელს ორგზის საბჭოთა კავშირის გმირს მაიორ პ. ა. პოკრიშევს გადასცა საბრძოლო თვითმფრინავი, რომელიც კონსტრუქტორმა შეიძინა პირადი სახსრებით — სტალინური პრემიიდან.

გვარდიის მაიორმა პ. ა. პოკრიშევმა დიდი სამამულო ომის დროს საჰაერო ბრძოლებში ჩამოაგდო მოწინააღმდეგის 30 თვითმფრინავი—23 პირადად და 7 ჯგუფურ ბრძოლებში, აეროდრომზე ა. ს. იაკოვლევი მიესალმა პ. ა. პოკრიშევს, გადასცა თვითმფრინავი და უსურვა მას ახალი საბრძოლო წარმატებანი სამშობლოს სასახელოდ. პ. ა. პოკრიშევი ახალი თვითმფრინავით ფრონტზე გაფრინდა.

სურათზე: სოციალისტური შრომის გმირი ა. ს. ᲘᲐᲙᲝᲕᲚᲔᲕᲘ (მარცხნით) და ორგზის საბჭოთა კავშირის გმირი პ. ა. ᲠᲝᲙᲠᲘᲨᲔᲕᲘ საუბრობენ თვითმფრინავთან.

ფოტო ალ. ლესისა (საკავშირო ფოტოქრონიკა)

ᲞᲣᲠᲘ—ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝᲡ

ᲗᲔᲗᲠᲘ ᲬᲧᲐᲠᲝ („კომუნისტის“ საკ. კორ.). დიდი სტალინის საოქტომბრო მოხსენებით აღფრთოვანებული კოლმეურნეები ახალი ენერგიით იბრძვიან, რათა გაზარდონ მოსავლიანობა და მეტი დახმარება გაუწიონ შემტევ წითელ არმიას.

 კოდის სასოფლო საბჭოში შემავალმა კოლმეურნეობებმა (სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. დესპოტაშვილი) სახელმწიფო ვალდებულებათა შესრულების შემდეგ 30 ტონა მარცვლეული მიჰყიდეს სახელმწიფოს. სოფ. მუხათის მე-6 ლეგიონის სახელობის კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე ამხ. ახუაშვილი) 9 ტონა მარცვლეული მიჰყიდა სახელმწიფოს, საიდანაც 5 ტონა კოლმეურნეების მიერ არის მიყიდული.

ბორჩალოს სასოფლო საბჭოში შემავალმა კოლმეურნეობებმა (სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. საღათელოვი) 21.790 კილოგრამი მარცვლეული მიჰყიდეს სახელმწიფოს თავისუფალი შესყიდვის წესით, სოფ. ლოუბნის ბერიას სახელობის კოლმეურნეობამ 2 ტონა მარცვლეული, ამ კოლმეურნეობის წევრებმა—6.150 კილოგრამი მარცვლეული.

ახალსოფლის სასოფლო საბჭოში შემავალმა კოლმეურნეობებმა (სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. არტემიევ) 20 ტონა მარცვლეული მიჰყიდეს სახელმწიფოს. სოფ. საფუძვრების ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობის სტახანოველმა პ. ბედოიევმ, რომელსაც ოჯახის წევრებთან ერთად ათი თვის განმავლობაში 1.102 შრომადღე აქვს გამომუშავებული, 155 კილოგრამი მარცვლეული მიჰყიდა სახელმწიფოს. სოფ. თონეთის კოლმეურნეობის ფერმის გამგემ შ. მაჩაიძემ სახელმწიფოს მიჰყიდა 200 კილოგრამი მარცვლეული; 200 კილოგრამი მარცვლეული მიჰყიდა მე-4 ბრიგადის ბრიგადირმა ო. ნადირაძემაც. სულ ამ კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე ამხ. ბ. თაქთაქიშვილი) 14.500 კილოგრამი მარცვლეული ჩაბარა სახელმწიფოს თავისუფალი შესყიდვის წესით. აქედან 8.802 კილოგრამი კოლმეურნეების მიერ არის მიყიდული.

კოლმეურნეობები აძლიერებენ მუშაობის ტემპებს. კოლმეურნეობამ 20-მეტრიანი თავლა აგო. ოთხი ფრონტელის მამამ მოხუცმა კოლმეურნემ გაბრიელ წიკლაურმა 16 სამუშაო დღეში თავლის მშენებლობაზე 87 შრომადღე გამომუშავა.

რაიონის მრავალმა კოლმეურნეობამ გადაჭარბებით შეასრულა საშემოდგომო თესვის გეგმა. სოფ. აბრამეთის მე-17 პარტყრილობის სახელობის კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე ამხ. ალ. ხუციშვილი) გეგმის გადაჭარბებით 10 ჰექტარი დასთესა, სოფ. მაწეენის სტალინის სახელობის კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე ამხ. ა. სხირტლაძე)—5 ჰექტარი, სოფ. ჭალის ბერიას სახელობის კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე მ. გვიანიშვილი)—3 ჰექტარი, ახალი მარაბდის გასტელოს სახელობის კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე ი. ჩომახაშვილი)—77 ჰექტარის ნაცვლად 100 ჰექტარზე დასთესა საშემოდგომო კულტურები.

ᲐᲫ. ᲩᲐᲕᲚᲔᲘᲨᲕᲘᲚᲘ

ᲡᲐᲨᲔᲛᲝᲓᲒᲝᲛᲝ ᲑᲝᲡᲢᲜᲔᲣᲚᲘᲡ ᲗᲔᲡᲕᲐ

ვანის რაიონის კოლმეურნეობებმა ბოსტნეულის საშემოდგომო თესვის გეგმა 30 ნოემბრისათვის 437 პროცენტით შეასრულეს.

საქ. კ. პ. (ბ) ვანის რაიკომის მდივანი
ᲒᲐᲛᲒᲔᲑᲚᲘ ᲙᲐᲙᲐᲑᲐᲫᲔ

ᲕᲐᲜᲘᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲐᲦᲡᲠᲣᲚᲙᲝᲛᲘᲗᲘᲡ ᲗᲐᲕᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲔ
ᲒᲘ. ᲙᲐᲚᲐᲜᲓᲐᲫᲔ

ᲡᲝᲤᲘᲐᲡ ᲩᲐᲑᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲒᲔᲒᲛᲘᲡ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲔᲑᲐ

ᲬᲐᲚᲔᲜᲯᲘᲩᲘᲐ („კომუნისტის“ საკ. კორ.). წალენჯიხის რაიონის კოლმეურნეობებმა 26 ნოემბრისათვის 100 პროცენტით შეასრულეს სახელმწიფოსათვის სოფიას ჩაბარების 1943 წლის გეგმა. ჩაბარებულია 972 ცენტნერი სოფი.

ᲒᲘ. ᲑᲔᲚᲥᲐᲜᲘᲐ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲠᲔᲬᲕᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲨᲘ

⊙ **გარდამავალი დროშის გადაცემა.** თბილისის სტალინის სახელობის ორთქმავალმშენებელ-მონტაჟო ქარხნის სათვლე საამქროს კოლექტივმა ოქტომბერში პირველობა მოიპოვა სათვლე საამქროთა სრულიად-საკავშირო შეჯიბრებაში, რისთვისაც მას საკავშირო უფროსმა გარდამავალი წითელი დროშა მიაკუთვნა. ამ დღეებში რკინიგზელთა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარემ ამხ. სედუნოვმა საამქროს კოლექტივს გადასცა დროშა.

⊙ **530.000 მანეთის შეკერილი ტანსაცმელი** გამოუშვა 1 დეკემბრისათვის წლიური გეგმის გადამეტებით თბილისის მეექვსე სამკერვალო ფაბრიკის კოლექტივმა.

⊙ **სპირალი ელექტროღუმელებისათვის.** თბილისის სარეწაო არტელის „მელიათონის“ კოლექტივი შეუდგა უუანგავი ფოლადის ნარჩენებისაგან ელექტროღუმელებისათვის სპირალის სპირალის გამოშვებას. სპირალი მზადდება ინჟ. ვაშაკიძის მეთოდით.

⊙ **17 კომკავშირული კვირაობა.** ხაშურის რაიონის კვანძის კომკავშირელებმა 17-ჯერ მოაწყეს კვირაობა ლითონის ჯართის შესაგროვებლად. კვირაობებში მონაწილეობა მიიღო 1.500 კაცმა. მათ შეაგროვეს 48.397 მარეთად ღირებული შავი და ფერადი ლითონის ჯართი.

⊙ **330.000 მანეთის სამრეწველო საქონელი.** ხაშურის რაიონულმა სამომხმარებლო კოოპერაციის კავშირმა 330.000 მანეთის სამრეწველო საქონელი (ფართალი, ტრიკოტაჟი, ძაფი, ფეხსაცმელი, საპონი, მარილი და სხვ.) გაანაწილა სასოფლო კოოპერატივებს შორის იმ კოლმეურნეთათვის მისასყიდად, რომლებიც პირადი მარაგიდან პურს მიჰყიდიან სახელმწიფოს.

ᲩᲘᲐᲗᲣᲠᲔᲚᲘ ᲛᲐᲦᲐᲠᲝᲔᲚᲔᲑᲘ ᲘᲑᲠᲫᲕᲘᲐᲜ ᲬᲚᲘᲣᲠᲘ ᲒᲔᲒᲛᲘᲡ ᲕᲐᲦᲐᲛᲓᲔ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

ᲩᲘᲐᲗᲣᲠᲐ („კომუნისტის“ საკ. კორ.). ჭიათურის მარგანტრესტმა მარგანეცის სასაქონლო პროდუქციის დამზადების ნოემბრის გეგმა 102,6 პროცენტით შეასრულა.

განსაკუთრებით კარგად იმუშავეს კაგანოვიჩის და ორჯონიკიძის სახელობის მაღაროებმა, რომლებმაც გადაჭარბებით შეასრულეს მარგანეცის გამოღებისა და სასაქონლო პროდუქციის დამზადების გეგმები. ორჯონიკიძის სახელობის მაღაროს სასაქონლო პროდუქციის დამზადების ნოემბრის გეგმა 105,5 პროცენტით შეასრულა და ქვეყანას ნოემბერში 300.000 მანეთის მოგება მისცა.

სტალინის სახელობის მაღაროს (დირექტორი ს. ჯაფარიძე, პარტბიუროს მდივანი ა. ჯაოშვილი) შედარებით სუსტად იმუშავა. მან მარგანეცის გამოღების გეგმა 92,7 პროცენტით შეასრულა, ხოლო სასაქონლო პროდუქციის დამზადებისა—99 პროცენტით.

ჭიათურელი მაღაროელები ახლა იმისთვის იბრძვიან, რომ უახლოეს დღეებშივე დაჭარონ ნოემბრის დანაკლისი და ვადამდე შეასრულონ მარგანეცის გამოღების წლიური გეგმა.

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘᲡ ᲘᲜᲢᲔᲚᲘ�გᲔᲜᲪᲘᲘᲡ ᲙᲠᲔᲑᲐᲖᲔ

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘ („კომუნისტის“ საკ. კორ.). 29 ნოემბერს ლ. მესხიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრში შესდგა ქუთაისის ინტელიგენციის საქალაქო კრება. მოხსენებით — ამხანაგ ი. ბ. სტალინის საოქტომბრო მოხსენება და ინტელიგენციის ამოცანები — გამოვიდა შრომელთა დეპუტატების ქუთაისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. ბ. ლომიძე.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ დიდი სტალინის ისტორიულ საოქტომბრო მოხსენებას მთელი საბჭოთა ხალხი უდიდესი აღფრთოვანებით შეხვდა. ილაპარაკა იმაზე, საბჭოთა ინტელიგენცია თუ როგორი თავდადებით ეხმარება ჩვენს გმირ წითელ არმიას, დაასახელა მრავალი მაგალითი, რომელიც ასახავს საბჭოთა ინტელიგენციის, კერძოდ ქუთაისის ინტელიგენციის მუშაობას სამამულო ომის პერიოდში.

დაუღალავად მუშაობს ქალაქის ტექნიკური ინტელიგენცია. ინჟინრები, ტექნიკოსები დღეთა-დღე აუმჯობესებენ საწარმოო პროცესებს. სამამულო ომის პერიოდში ჩვენი ქალაქის მრეწველობაში განხორციელებული რაციონალიზატორული წინადადებანი ორ მილიონ მანეთზე მეტ წლიურ ეკონომიას აძლევს სახელმწიფოს. ამ მხრივ თვალსაჩინო წარმატებები აქვთ სტალინის სახელობის რიონპეხის, ჩიქოვანის სახელობის საკოსნერგო ქარხნის, მაუდის ფაბრიკის და სხვა საწარმოთა ინჟინრებსა და ტექნიკოსებს.

— ჩვენი ქალაქის მეცნიერმა მუშაკებმა, პედაგოგებმა, ინჟინრებმა, ექიმებმა და კულტურის სხვა დარგის მუშაკებმა, — ამბობს მომხსენებელი, — კიდევ უფრო უნდა დაძაბონ ენერგია, მთელი უნარი და ნიჭი მოახმარონ მტერზე საბოლოო გამარჯვების დაჩქარების საქმეს.

სიტყვით გამოვიდა პროფესორი ს. კაკაბაძე, რომელმაც განაცხადა: ამხანაგმა სტალინმა თავის ისტორიულ მოხსენებაში მაღალი შეფასება მისცა საბჭოთა ინტელიგენციის როლს ფრონტისადმი დახმარების საქმეში. საბჭოთა მეცნიერები ყველაფერს გააკეთებენ პროგრესიული კაცობრიობის, მეცნიერებისა და კულტურის უბოროტესი მტრების — გერმანელი ფაშისტების განადგურების დასაჩქარებლად.

— ლიტოპონის ქარხნის ინჟინერ-ტექნიკოსები კიდევ უფრო გააძლიერებენ ბრძოლას საწარმოო პროცესების გაუმჯობესებისათვის, შინარეულსრსების გამოყენებისათვის, პროდუქციის გამოშვების გადიდებისათვის, — სთქვა ინჟინერმა ო. ლოლაძემ.

დამსახურებულმა მასწავლებელმა დ. ოყრეშიძემ ილაპარაკა სამამულო ომის დღეებში ქუთაისის პედაგოგების მიერ ჩატარებულ მუშაობაზე.

საქ. სსრ სახალხო არტისტმა დ. ანთაძემ თავის სიტყვაში აღნიშნა ის ამოცანები, რაც ამჟამად აკისრია თეატრის მუშაკებს, კერძოდ ქუთაისის თეატრის კოლექტივს.

ინტელიგენციის კრებაზე სიტყვებით გამოვიდნენ აგრეთვე დამსახურებული ექიმი ნ. ბოლშაროდვინოვი, ალ. წულუკიძის სახელობის პედინსტიტუტის დირექტორი დოცენტი ლ. ჭელიძე, საქ. სსრ საბჭოთა მწერლების კავშირის ქუთაისის განყოფილების მდივანი დ. კვირკველია, დამსახურებული ექიმი ა. გოგოლაშვილი, დამსახურებული მასწავლებელი ა. მოსესშვილი.

ინტელიგენციის საქალაქო კრების მონაწილეებმა მისალმების დეპეშები გაუგზავნეს ხალხთა დიდ ბელადს საბჭოთა კავშირის მარშალს ამხანაგ **ი. ბ. სტალინს** და დიდი სტალინის ერთგულ თანამებრძოლს **ლ. პ. ბერიას.**

Თ. ᲙᲝᲕᲖᲘᲠᲘᲫᲔ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲐᲠᲔᲬᲐᲝ ᲙᲝᲝᲠᲞᲔᲠᲐᲪᲘᲘᲡ ᲡᲐᲬᲐᲠᲛᲝᲗᲐ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲘ

საქართველოს სარეწაო კოოპერაციის კავშირის სისტემის საწარმოთა მუშები, მოსამსახურეები და ინჟინერ-ტექნიკოსები ახალი საწარმოო გაჭარბებებით ხვდებიან სტალინური კონსტიტუციის დღეს—5 დეკემბერს. დიდი ბელადის და მხედართმთავრის ამხანაგ სტალინის მოწოდების პასუხად გაჩაღებულ სოციალისტური შეჯიბრების შედეგად საქართველოს სარეწაო კოოპერაციამ (სარეწაო კავშირის საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ამხ. შ. აბაიშვილი) 1943 წლის საწარმოო დავალებები ვადამდე, 25 ნოემბრისათვის შეასრულა.

წლიურ საწარმოო გეგმაზე გადამეტებით 25 ნოემბრისათვის გამოშვებული იყო 3.800.000 მანეთის საერთო პროდუქცია. აქედან წლიური დავალებაზე გადამეტებით გამოშვებულია 3.500.000 მანეთის სამრეწველო საქონელი. გადაჭარბებით არის შესრულებული აგრეთვე ფართო მოხმარების საქონლის გამოშვების წლიური დავალება.

სტალინური კონსტიტუციის დღისათვის — 5 დეკემბრისათვის საქ. სარეწაო კოოპერაციის საწარმოებმა წლიური გეგმის გადაჭარბებით გამოუშვეს დამატებით კიდევ მრავალი ასიათასი მანეთის პროდუქცია.

ᲐᲚᲘᲝᲨ ᲛᲐᲨᲐᲨᲕᲘᲚᲘ

ᲒᲠᲘᲒᲐᲚᲘ

თქვენ ხართ შავიზღვის გრიგალი,
ძლევის ხმით შეჯერებული,
ყალყზე შემდგარი სტიქია,
სადავით შეჩერებული.

რომ გადმოევლო გათელვით
ჩვენი მთები და ტყეველი, —
საზღვარზე გაწვა ვეშაპი
შავი, შხამგესლის მთხეველი.

თქვენც აქ დარაჯობთ კარიბჭეს
მტრისთვის ხელ-მიუწვდომელსა,
მზად ხართ დაასწროთ მახვილი
ჩვენი მიწა-წყლის მდომელსა.

იქ წვდება, წყვდიადს ანათებს
თქვენი ხიშტების ხანძარი,
იქ ისმის თქვენი ფეხის ხმა,
მიდამოს არყევს ზანზარით.

ვაი, მტერს! თუ ეს გრიგალი
სამტროდ, საავდროდ დავსძარით,
სარქველს ააძრობს ქვეყანას,
რისხვას დაატეხს თავზარით.

რომ ბრძოლის ჭექა-ქუხილი
მტერს ჰგვრიდეს გულის ძგერასა,
და ცაზე ელვის ნაწერი
უკადდეს ბედისწერასა.

რომ გაახსენოს ასპინძა, —
სისხლის ტბა გაჩაღებული,
პატარა კახის მარჯვენით
მეხი მეხს დაჯახებული.

იგი პირშავი ვეშაპიც
უკან დაიხევს, გაქრება,
მხრებს გაშლის ჩვენი სამშობლო
თვისტომთა შემოსაკრებად.

თქვენც აქ დამდგარხართ ვაუკაცნი
ქვეყნის დამცველად, დარაჯად,
ვერ გაიტანოს ტყვიამ
თქვენი ფარი და ფარაჯა.

მამულის ხმები გამხნევებთ
გულიდან ამონახდომი,
დღეს თქვენი ძმები დნეპრს გაღმა
გადახტნენ ვეფხის ნახტომით.

დღეს ციცოშვილმა კიევთან
მტრებს ჩასცხო, წყალში ჩაჰყარა,
გმირის დიდებით შემოსა
ქართველი დედის ჭაღარა.

თქვენზე ფიქრობენ, ზრუნავენ
თქვენი დები და დედები,
თქვენს გუგუნს იმეორებენ
ჩვენი მთები და ქედები.

ჩანგს ვარხევ კალმის მახვილით,
და მეც გიმღერი, გოგალობ —
შავი ზღვის გადასახტომად
ყალყზე შემდგარო გრიგალო!

*) წარმოთქმულია მებრძოლთა და მეთაურთა საოქტომბრო მიტინგებზე, 1943 წლის 4 და 5 ნოემბერს.

ᲡᲐᲥ. ᲡᲡᲠ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐᲗᲐ ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲘᲡ „ᲛᲝᲛᲐᲛᲖᲔ“

გამოვიდა საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის „მოამბის“ მე-4 ტომი, რომელშიც მოთავსებულია შემდეგი ნაშრომები: ა. ხარაძე — „იაკობის პოლინომების განზოგადებისათვის“, ლ. ხვიტაკი — „განზოგადებულ რიცხვთა თეორიის ძირითადი ცნებანი“, კ. ზავრიევი — „იძულებითი რხევის დინამიკური კოეფიციენტის განსაზღვრისათვის“, პ. გოგორიშვილი, მ. ყარყარაშვილი და ო. ჯავახიშვილი — „იოდიდ-იონების იოდატ-იონებად დაჟანგვა პერგანატით“, ი. კახაძე — „შენიშვნები სამეგრელოს და აფხაზეთის ნახშირიანი წყლების შესახებ“, გ. ზარიძე — „გრანიტოიდული და კვარციანი მონცონიტური რიგის ქანების ოდენობითი-მინერალური შემადგენლობის მიხედვით კლასიფიკაციის შესახებ“, ფ. სულაკაძე — „გაყინვის სისწრაფის მოქმედება მცენარეზე“, ზ. ექთიმიშვილი — „მასალები ამერიკული მთიხვის შესწავლისათვის ყვარლის რაიონში“, ა. ერიკიანი — „ხორბლებში გამეტათა ამორჩევის უნარიანობის შესწავლისათვის“, ა. ლეკავა — „ნაწლავის ლორწოვანი გარსის ბაზალური ფირფიტის შესახებ“, დ. კაპანაძე — „ქართული ფულის სინჯადობა“, ს. ყაუხჩიშვილი — „მცხეთა-სამთავროს ახლადაღმოჩენილი ბერძნული წარწერა“, პ. ბერაძე — „ქართული იამბიკოს შესახებ“, გ. როგავა — „ზანური ბაღ-ზმნის ეტიმოლოგიისათვის“, ა. ბარამიძე — „ამორან-დარეჯანიანის“ ორიგინალობის საკითხისათვის“, ვუკო ბერიძე — „ვეფხისტყაოსნის“ ერთი მხატვრული სახის განმარტებისათვის“, ვ. ბერიძე — „წინარეხა-ზემოსჯვარი-სასხორი“.

„მოამბეში“ მოთავსებულია საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის მეცნიერ მუშაკთა გამოკვლევები. ს. ყაუხჩიშვილის გამოკვლევა წარმოადგენს მცხეთის სამთავროს ნეკროპოლის რაიონში ნაპოვნი ორწარწერიანი ქვის ბერძნული წარწერის ამოხსნას. ავტორის დასკვნით, წარწერა წარმოადგენს მხატვრთმუტეცესის და ხუროთმოძღვრის ავრელი აქოლისის ეპიტაფიას. წარწერა მეოთხე საუკუნისაზე არა უადრესია. ავრელი აქოლისი ადგილობრივი, მცხეთელი მცხოვრები ყოფილა. პ. ბერაძე გამოკვლევაში ქართული იამბიკოს შესახებ ამტკიცებს, რომ ქართული იამბიკო გამართული ყოფილა ბერძნული იამბიკური ტრიმეტრის მიხედვით. ეს დასკვნა ავტორმა მიიღო იმ წანამძღვრის საფუძველზე, რომ ქართული ლექსი სილაბურია და იგი დამყარებულია ორმარცვლიან და სამმარცვლიან ტერფთა თანაზომიერ განლაგებაზე.

„ᲑᲐᲮᲢᲠᲘᲝᲜᲘᲡ ᲒᲛᲘᲠᲔᲑᲘ“

მე-17 საუკუნეში საქართველო რამდენიმე სამეფოდ და სამთავროდ იყო დაყოფილი. ქართლს განაგებდა როსტომ მეფე, რომელიც ირანის ვასალი იყო. კახეთს ირანმა მმართველად ვიღაც სელიმ-ხანი დაუსვა. დაიწყო ქართლ-კახეთის დასახლება მომთაბარე ირანელებით. ეს ვერ მოითმინეს კახელებმა და მოეწყო დიდი აჯანყება. კახთა, თუშ-ფშავ-ხევსურთა ლაშქარმა 1659 წელს იერიშით აიღო ირანელთა მიერ გამაგრებული ციხე ბახტრიონი. ამ ბრძოლაში დიდი გმირობა გამოიჩინა ქართველმა ხალხმა და ბევრი ნიჭიერი მხედართმთავარი გამოავლინა.

ბახტრიონის აღების ამბავი მოთხრობილია ლ. ბოკორიშვილის ბროშურაში „ბახტრიონის გმირები“, რომელიც საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობამ გამოუშვა „წიგნელარმიელის ბიბლიოთეკის“ მორიგ წიგნად.

წიგნი, რომლის რედაქტორია გ. ჩიტაია, შეიცავს 24 გვერდს და ღირს 1 მ. 50 კ.

ᲝᲒᲐᲠᲘᲝᲕᲘᲡ ᲞᲝᲔᲖᲘᲐ

(ნ. პ. ᲝᲒᲐᲠᲘᲝᲕᲘᲡ ᲓᲐᲑᲐᲓᲔᲑᲘᲓᲐᲜ 180 ᲬᲚᲘᲡᲗᲐᲕᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ)

იმ გამოჩენილ ადამიანთა შორის, რომლებსაც ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ ძეგლი უნდა აეგებოდათ ლენინის მიერ აღმოჩენილ სახკომსაბჭოს 1918 წლის 30 ივლისის დადგენილებით, ტოლსტოისა და დოსტოევსკის, ლერმონტოვისა და პუშკინის, გოგოლისა და რადიშჩევის, ბელინსკისა და ჩერნიშევსკის სახელებთან ერთად მოხსენებული იყო ოგარიოვი. ნიკოლოზ პლატონის-ძე ოგარიოვი გერცენთან ერთად გასული საუკუნის რუსეთის საზოგადოებრივი აზროვნების ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელია, პოეტი და პუბლიცისტი, ამ პერიოდის რევოლუციური მოძრაობის გამჩენილი მოღვაწე.

ნიკოლოზ პლატონის-ძე ოგარიოვი შეძლებული არისტოკრატის ოჯახში დაიბადა. მაგრამ იგი, როგორც „მონანიე აზნაური“, ჭაბუკობის წლებიდანვე დაუპირისპირდა თვითმპყრობელობას და ბატონყმობას, გახდა მათ წინააღმდეგ შეურიგებელი მებრძოლი. ოგარიოვი სწავლობდა მოსკოვის უნივერსიტეტში. ახალგაზრდობიდანვე გაიტაცა იგი ფილოსოფიამ, და გერცენთან ერთად მან დააარსა წრე, რომელშიც იმდროინდელი მოწინავე სტუდენტები გაერთიანდნენ. ფილოსოფიისა და უტოპიური სოციალიზმის თეორიის ღრმად შესწავლამ ოგარიოვი გერცენთან ერთად აამხედრა სოციალური ბოროტების დასამსხვრევად. ამ ამხედრების მეტად რომანტიკულ და სიმბოლიურ გამოხატულებად უნდა მივიჩნიოთ ვორობიოვის მთებში ორი ჭაბუკის—ოგარიოვისა და გერცენის ცნობილი ფიცი. რა შეჰფიცა ერთმანეთს ამ ორმა მომავალმა დიდმა საზოგადო მოღვაწემ? ოგარიოვს აქვს ერთი მხატვრული ნაწარმოები, რომელიც ეკითხულობთ: „ჩვენ. დიდებრისტებისა და მსოფლიოს ახალი მოძღვრების შვილებმა, ფურიესა და სენ-სიმონის მოწაფეებმა, ერთმანეთს შევფიცეთ, რომ მთელ ჩვენ სიცოცხლეს შეეწირავთ ხალხს და მის განთავისუფლებას საფუძვლად დავუდებთ სოციალიზმს“. ამ სიტყვებში ლუთოდ არის ოგარიოვის ავტობიოგრაფიული მოგონება. თვითონ ეს ფრაზა იყო ეს სოციალიზმი. თვით ოგარიოვმა ანმარტა „კოლოკოლის“ პირველ ნომერში მოთავსებულ „წერილში გამომცემლისადმი“, სადაც ლაპარაკია იმის შესახებ, რომ გერცენი მომზრეა „არა მთავრობის შიცვლისა“, არამედ „ისეთი ცვლილებისა, რომელიც გაათავისებდა ადამიანებს მდგომარეობას“, და თანვე დასძინა: „აი ოგარიოვიც მერყეობდა ლიბერალიზმსა და დემო

წყალტუბოს რაიონის სოფელ მაღლაკის პარიზის კომუნის სახელობის კოლმეურნეობამ სამამულო ომის დღეებში თავისი კანტორისათვის ახალი შენობა ააგო. წინა პლანზე: კოლმეურნეობის თავმჯდომარე ილიკო ტყეშელაშვილი (მარჯვნივ) ესაუბრება ბრიგადირებს ა. ფესტვენიძეს, თ. ფესტვენიძეს, დ. ტყეშელაშვილს და ი. კვირნაძეს.

ფოტო რ. აკოფოვისა

მარჯვე გამოხდომა

ქარელიის ფრონტი, 4 დეკემბერი (საკდესის სპეც. კორ.). დაღამდა თუ არა მებრძოლებმა დაიკავეს ზღუდე, საიდანაც იერიში უნდა დაეწყოთ. ღამემ გაიარა. ჭოწინააღმდეგე განუწყვეტლივ ანათებდა ადგილს რაკეტებით, მაგრამ ვერაფერი შეამჩნია. მთელ ცივ დილას მებრძოლები კვლავ ისე იწვნენ, რომ მტერს ისინი ვერ შეემჩნია. დასასრულ, შუადღისას, სიწყნარით მოტყუებულ მტერს ჩვენმა ქვემეხებმა ცეცხლი დაუშინეს პირდაპირი დამიზნებით. სროლას აწარმოებდნენ ოფიცერ მაკეევის არტილერისტები. მავთულლობურები და მრავალი ძელმიწური საცეცხლე წერტი ჰაერში ავარდა.

შექმნილი გასასვლელით, იგრეთვე იმ გასასვლელებით, რომლებიც წინადღეს გააკეთეს მესანგრეებმა, უფროს სერჟანტ პავლოვის მეთაურობით, ფინელთა სანგრებისაკენ გაემართნენ ჩვენი მებრძოლნი. უეცარმა თავდასხმამ თავზარი დასცა მტერს, არევ-დარევა შეიტანა მის თავდაცვაში. მტრის ჯარისკაცები საფრენიდან ამორბოდნენ, მაგრამ ორგანიზებული წინააღმდეგობის გაწევა არ შეეძლოთ.

ჩვენი მებრძოლების ჯგუფმა ოფიცერ კოსოლაპოვის მეთაურობით დიკეგი ერთ-ერთი შენობა. მაგიდაზე პატარა ქვაბებით იდგა ჯერ კიდევ ცხელი სადილი, უწესრიგოდ ეყარა ტანსაცმელი, სიომხრი მასალა, დოკუმენტები.

მოწინააღმდეგემ დაინახა, რომ დასაყრდენი პუნქტის გარნიზონი გარშემორტყმული იყო და სილრმიდან დაუშინა არტილერიის ცეცხლი თავის წინა კიდეს. მაგრამ ჩვენი ქვეგანაყოფი განაგრძობდა ამოცანის შესრულებას, აფეთქებდა მტრის ძელმიწურ საცეცხლე წერტებს, სპობდა ფინელებს, რომელნიც ცდილობდნენ წინააღმდეგობის გაწევას. მარტო ოფიცერ კომარის ჯგუფის მჭვერავებმა მოსპეს 4 ძელმიწური საცეცხლე წერტი, გაელიტეს მტრის 30-მდე ჯარისკაცი.

ამ გამოხდომის შედეგად მოსპობილ იქნა 9 ძელმიწური საცეცხლე წერტი და გაელეტილ იქნა 100-ზე მეტი ჰიტლერელი. ხელთ ვიგდეთ ძვირფასი დოკუმენტები.

ლ. გენინი

ფინდიხით სანგრის გასწვრივ

მოქმედი არმია, 29 ნოემბერი (საკდესის სპეც. კორ.). ერთ-ერთ უბანზე გერმანელებმა ძლიერი საარტილერიო სროლა აუტეხეს ჩვენს სანგრებს. ჯერ კიდევ არ გაფანტულიყო ყუმბარების სკდომის კვამლი, როდესაც ჰიტლერელები გამოჩნდნენ. ისინი ჩვენი პოზიციებისაკენ მორბოდნენ.

— მსხვრევადით!—გასცა ბრძანება ქვემეხის მეთაურმა ნიკოლოზ სმირნოვმა.

შეტევაზე გადმოსულ გერმანელთა წინ ყუმბარები სკდებოდა. ქარმა კვამლი გაჰფანტა. მტერი სულ უფრო ახლოვდებოდა. ქვემეხმა ფინდიხის სროლა ასტეხა. მემიზნე მიხეილ ვოლიანი მოწინააღმდეგის დიდ ჯგუფებს უმიზნებდა, და ქვემეხი გამუდმებით გრიალებდა.

მაგრამ გერმანელები ბევრნი იყვნენ. მათმა ნაწილმა შესძლო ცეცხლიდან თავის დაღწევა და სანგრებში შემოიჭრა ქვემეხის მარცხნივ. ფრონტიდან ფაშისტთა მოძრაობა შეფერხდა—აქ ისინი ჩვენმა მეავტომატეებმა და მეტყვიამფრქვევეებმა შეაჩერეს.

— მიაბრუნეთ ქვემეხი მარცხნივ,—გასცა ბრძანება სმირნოვმა, — ფინდიხით სანგრის გასწვრივ—ცეცხლი!

პოლკის ქვემეხი ზედ სანგართან დადგა და რამდენიმე ჭოტვეულს უშენდა. როგორც კი გამოჩნდებოდნენ გერმანელები მომიზნებულ ადგილზე, მაშინვე ქვემეხი დაიგრიალებდა და ფინდიხი მტრის ჯარისკაცებს სცელავდა.

მოწინააღმდეგის იერიში მოგერიებულ იქნა. არტილერისტებმა არ იცოდნენ, რამდენი ფაშისტი მოსპეს თავიანთი პოზიციის წინ, მაგრამ მარტო სანგარში მათ გერმანელთა 30 გვამი იპოვნეს.

მალე გაიგეს, რომ სარდლობამ ქვემეხის მთელი გუნდი დაჯილდოვა მედლით „მამაცობისათვის“.

კაპიტანი ვ. მელენტიევი

ძვირფასი ქიმიკოსებისათვის

საქართველოს ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატის თბილისის ქიმიური კომბინატის მუშაკთა კოლექტივმა თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის ფიდელ სტალინის 1943 წლის 6 ნოემბრის ისტორიულ საოქტომბრო მოხსენებასა და 7 ნოემბრის ბრძანებას ახალი შრომითი გამარჯვებით უპასუხა.

ჩვენი დიდი სამშობლოს მშრომელთა საყოველთაო-სახალხო დღესასწაულ — სტალინური კონსტიტუციის დღეს — 5 დეკემბერს კომბინატის კოლექტივი წლიური საწარმოო გეგმის შესრულებით ხვდება. ამ დღისათვის გადაჭარბებით არის შესრულებული წლიური საწარმოო გეგმა, გაზრდილია შრომის ნაყოფიერება 234,1 პროცენტით, შემცირებულია პროდუქციის თვითღირებულება 23,3 პროცენტით. 1943 წლის განმავლობაში ქიმკომბინატის კოლექტივმა სახელმწიფოს 200.000 მანეთის საწარმოო ეკონომია მისცა.

ქიმკომბინატის მუშებმა სამამულო ომის პერიოდში ათვისეს 17 სახელწოდების სხვადასხვა ქიმიური ნივთიერებათა წარმოება, რაც უმთავრესად ადგილობრივი ნედლეულიდან მზადდება. ამავე დროში საგრძნობლად გაიზარდა ხუთასოვანთა და ოთხასოვანთა რიგები. გ. ჯავახიშვილმა, ვ. მჭედლიძემ, ა. თავდუმაძემ, პ. შევჩენკომ და სხვ. სამამულო ომის პერიოდში შეისწავლეს ქიმიური პროდუქციის რამდენიმე სახის რთული ტექნოლოგიური პროცესები და ახლა წარმატებით მუშაობენ. მოწინავეთა რიგებში არიან აგრეთვე ო. ვასილენკო, ვ. ავაქიანი, ელ. ამირანოვა, ელ. კერვალაშვილი და სხვ., რომლებიც ფრონტული თავდადებით იბრძვიან საწარმოო გეგმების ვადაზე ადრე და გადაჭარბებით შესრულებისათვის.

ქიმკომბინატს ჰყავს რაციონალიზატორები, რომელთა წინადადებების განხორციელებამ დიდი ეკონომია მოგვცა. ასეთები არიან ინჟ. ვ. გურგენიძე, ლ. ზუიკოვა და ტექნოლოგი გ. პეტროვი.

ქიმკომბინატის მუშაკთა კოლექტივი წელს ზედიზედ ინარჩუნებდა საქ. სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამთო სამმართველოს გარდამავალ წითელ დროშას.

ამჟამად ჩვენი კოლექტივი ემზადება ახალი 1944 სამეურნეო წლის შესახვედრად სწარმოებს მანქანა-დაზგების მიმდინარე რემონტი, ნედლეულის ახალი წყაროების გამონახვა და სხვ. მომავალი 1944 წლიდან კომბინატში მიხედვების ორი ახალი საამქრო, რომლებიც ადგილობრივი ნედლეულის საფუძველზე გამოუშვებენ მრეწველობისათვის და ტრანსპორტისათვის მეტად საჭირო და ძვირფას ქიმიკატებს.

გრ. ბერაძე
ქიმკომბინატის დირექტორი

სტალინგრადის აღდგენის აქტივისტები

სტალინგრადის ძერჟინსკის რაიონული საბჭოს აქტივისტი ალექსანდრა მაქსიმეს-ასული ჩერკასოვა, დაჯილდოებული მედლით „სტალინგრადის დაცვისათვის“, — ქალაქის მშენებელ მოხალისეთა პირველი ბრიგადის ორგანიზატორი. მის ბრიგადაში არიან ფრონტელთა ცოლები, სბავშვო დაწესებულებათა მუშაკები, დისახლისები. თავისი ძირითადი სამუშაოს შემდეგ ახინი ყოველდღე 2-3 საათს მუშაობენ საცხოვრებელი და კომუნალური შენობების აღდგენაზე, გამოხასვლელ დღეებში კი მთელ დღეს მუშაობენ მშენებლობაზე.

ბევრი ახეთი ბრიგადა მოეწყო სტალინგრადში ამხ. ჩერკასოვას ბრიგადის მაგალითისამებრ.

ეს ბრიგადა მუშაობს სახელგანთქმული „პავლოვის სახლის“ აღდგენაზე, სადაც გმირულად იბრძოდა სტალინგრადის დამცველთა ჯგუფი გვარდიის სერჟანტ პავლოვის მეთაურობით.

სურათზე ა. მ. ჩერკასოვა „პავლოვის სახლთან“.

ფოტო ა. ბრიანცევისა (საკდესის ფოტოქრონიკა).

ბავშვები სკუმრად ნ ჯოსეფიანში

ამას წინათ საქართველოს სსრ შინსახკომის საბავშვო ბაგის № 25 აღსაზრდელები ამხ. ლ. მოროზის ხელმძღვანელობით ესტუმრნენ ნ ჭოსპიტალს, სადაც დაჭრილ მებრძოლთათვის თავიანთი ძალებით გამართეს კონცერტი. ბავშვებმა შეასრულეს სიმღერები და სხვადასხვა სცენები, რითაც დიდად ასიამოვნეს მებრძოლები.

აღსანიშნავია, რომ საქ. სსრ შინსახკომის № 25 საბავშვო ბაგის (გამგე ეკ. ნ. მიროტაძე, ადგილკომის თავმჯდომარე თ. ბალანჩივაძე) აღსაზრდელებმა თავიანთი ინიციატივით შეაგროვეს 500 მანეთი და საჩუქრად გაუგზავნეს გმირული სტალინგრადის საბავშვო ბაგების აღსაზრდელებს.

„როგორ ავგებგმოთ გარემო“

საქართველოს გეოგრაფიულმა საზოგადოებამ გამოსცა დავ. დონდუას საინტერესო სამეცნიერო-პოპულარული შრომა—„როგორ ავგებგმოთ გარემო“ (რედაქტორი დოცენტი ს. ცხკაია). წიგნი შესდგება ხუთი თავისაგან: I—გარემოში გაგნება (ჰორიზონტი და მისი მზარეები; გარემოში გაგნების წესები); II—მანძილის გამორკვევა (მანძილის გამორკვევა ნაბიჯებით; მანძილის გამორკვევა სიარულში დახარჯული დროის მიხედვით; მანძილის გამორკვევა თვალზომითი); III—მასშტაბები (მასშტაბის ცნება; მასშტაბის დაწერა; მასშტაბის აება; მასშტაბების გადაქცევა; მანძილის გაზომვა ნახაზზე მასშტაბის მიხედვით; მასშტაბის მიხედვით ფართობის გამორკვევა; რუკის მასშტაბის გამორკვევა, როცა რუკა უმასშტაბოა); IV—ადგილის აგებგმა; V—ბზა გეგმისა და რუკის შედარება სინამდვილესთან.

წიგნი შეიცავს 54 გვერდს, ილუსტრირებულია მრავალი ნახაზით და ღირს 8 მანეთი.

საქ. სახ. საჯარო ბიბლიოთეკაში

6 დეკემბერს, საღამოს 7 ს. და 30 წ., საქ. სახ. საჯარო ბიბლიოთეკაში (ცეცხოველის 5), შესდგება ამხ. ფრინშენბერგის ლექცია თემაზე: **„სსრ კავშირის საერთაშორისო მდგომარეობა“.**

ბილეთების შეძენა შეიძლება ბიბლიოთეკის რეგისტრატურაში. მთელი შემოსავალი მოხმარდება წითელარმიელთა ოჯახებს.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიასთან არსებული სალექციო ბიურო

1943 წლის 8 დეკემბერს რუსთაველის სახელობის საკონცერტო დარბაზში (რუსთაველის პროსპ. № 21) შესდგება

პროფ. ტ. ნ. ათაბეგოვის საჯარო ლექცია რუსულ ენაზე. თემა:

„ჰიტლერული გერმანიის მიერ საბჭოთა კავშირისათვის მიყენებული ზარალის ანაზღაურების შესახებ“.

ლექციის დასაწყისი საღამოს 8 საათზე. ბილეთების ფასი 3 მან. ბილეთები იყიდება ფილარმონიის სალაროში, რუსთაველის პროსპ. № 21. სალარო ღია დილის 11 საათიდან დღის 3 საათამდე და საღამოს 6-დან 10 საათამდე.

ქართული ჯაზის კონცერტები

8 დეკემბრიდან სახელმწიფო კონსერვატორიასთან არსებულ დიდ საკონცერტო დარბაზში იწყება საქართველოს ფილარმონიის ჯაზ-ორკესტრის კონცერტები რსფსრ დამს. არტისტის ვლ. კანდელაკის მხატვრული ხელმძღვანელობითა და მონაწილეობით. ჯაზის მუსიკალური ხელმძღვანელია კომპოზიტორი ბ. თორაძე. ჯაზის სოლისტებად მუშაობენ მომღერლები თ. ბახტაძე, ქ. მიქელაძე, შ. თაბუკაშვილი და ბალეტის მსახიობები შ. ფიცხელაური, დები ა. და თ. აკიმოვები, ე. კალეპტრიშვილი, გ. გავაშელი და ა. ჩახავა. ცეკვები დადგმულია ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის დ. ჯავრიშვილის, შ. ფიცხელაურისა და გ. გავაშელის მიერ. ჯაზის დირიჟორია გ. ამდური. დეკორაციები და კოსტუმები შესრულებულია მხატვარ ნ. ყაზბეგის ესკიზებით.

ჯაზის პირველი პროგრამა, შეიცავს კომპოზიტორების გ. თორაძის, ა. კერესელიძის, რ. გაბიჩვაძის, ა. ანდრიაშვილის, ა. შავერნაშვილის, ნ. მკრტიჩიანის და სხვათა ნაწარმოებებს.

სპორტული საღამო

5 ნოემბერს თბილისის „დინამოს“ სასპორტო დარბაზში მოეწყობა დიდი სპორტული საღამო, რომელსაც მართავს სასპორტო საზოგადოება „საქართველოს მეედიკო“. საღამოს მთელი შემოსავალი გადაირიცხება ფრონტელთა ოჯახების დახმარების ფონდში.

საღამოს პროგრამაშია როგორც სპორტული, ისე მხატვრული გამოსვლები. სატანვოჯიმ გამოსვლებში მონაწილეობას მიიღებენ სპორტის დამსახურებული ოსტატები გ. რცხილაძე და ა. ჯორჯაძე; სპორტის ოსტატები თაყაიშვილი, დოლიძე და ახვლედიანი. ამას გარდა შესრულებული იქნება თავისუფალი ვარჯიში, ფარიკაობა და სხვ.

საღამოს მხატვრულ ნაწილში მონაწილეობას მიიღებენ სამედიცინო ინსტიტუტისა და სამედიცინო ტექნიკუმების სტუდენტთა თვითმოქმედი წრეები. საღამოს დასასრულ გაიმართება ცეკვები.

დასაწყისი საღამოს 7 საათზე.

ლექციები ‖ მოხსენებები

6 დეკემბერს, საღამოს 8 საათზე, საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის საქალაქო პარტკაბინეტში (ლენინის, 41), შესდგება ამხ. **რუბეინის** (პავლინსკი) ლექცია რუსულ ენაზე. თემა: **„სსრ კავშირის სამხედრო-პოლიტიკური და საერთაშორისო მდგომარეობა“.** ბილეთების მიღება შეიძლება პარტკაბინეტის ბიბლიოთეკაში დილის 9 საათიდან საღამოს 8 საათამდე.

ფეხბურთი

დღეს, 5 დეკემბერს, ლ. პ. ბერიას სახელობის თბილისის „დინამოს“ სტადიონზე ჩატარდება სტალინური კონსტიტუციის სახელობის თასის ტრადიციული გათამაშების საფინალო მატჩი.

საფინალო მატჩში ერთმანეთს შეხვდებიან თბილისის „დინამოს“ ოსტატ ფეხბურთელთა გუნდი და სოხუმის „დინამო“, რომელმაც ნახევარფინალში მოუგო ბათუმის „დინამოს“.

მატჩის დასაწყისი დღის 3 საათზე.

პასუხისმგებელი რედაქტორის მოადგილე ბ. ჯიბლაძე

მეცხოველეობის პროდუქციულობის გაღიდებისათვის

ხობი („კომუნისტის“ კორ.). მოწინავე კოლმეურნეობები მებრძოლურად მუშაობენ საქონლის სულადობისა და პროდუქტიულობის გადიდებისათვის. მსხვილფეხა რქიანი საქონლის სულადობის ზრდის წლიური გეგმა კოლმეურნეობებში ვადაზე ორი თვით ადრე შესრულებულია 100,5 პროცენტით, ცხენისა — 112,2 პროცენტით, ღორისა — 100-ზე მეტი პროცენტით. გადაჭარბებით შესრულებულია აგრეთვე მეფრინველეობისა და მეფუტკრეობის განვითარების წლიური გეგმები.

საზოგადოებრივი მეცხოველეობის შემდგომი აღმავლობისათვის ნაყოფიერი მუშაობა გასწიეს სოფ. პირველი ხორგის ორჯონიკიძის სახელობის (თავმჯდომარე მ. ნადარაია), სოფ. ხამისკურის ბაქრაძის სახელობის (თავმჯდომარე ს. კუშავა), სოფ. ქვემო ქვალონის რუსთაველის სახელობის (თავმჯდომარე შ. ჭოჭუა), სოფ. თორსა-დღვაბის (თავმჯდომარე ია. ლატარია), ხობის ჩარკვიანის სახელობის კოლმეურნეობებმა.

კოლმეურნეობებში სეროზული მუშაობა ჩატარდა პირუტყვის გამოზამთრებისათვის. შექმნილია საკვების მტკიცე ბაზა, შესრულებულია თივის აღებისა და სილოსის დამზადების გეგმები. საკვები ძირითადად მიზიდულია საქონლის საზამთრო სადგომთან. სპეციალური ბრიგადების საშუალებით დამთავრებულია საქონლის სადგომების რემონტი. ბევრგან უკვე დაწყებულია ცხოველთა ნორმალურ კვებასა და მოვლას, შერჩეულია მომვლელთა გამოცდილი კადრები, შედგენილია საკვების ხარჯვის ყოველთვიური რაციონი, რასაც ზუსტად იცავენ.

ცალკეულ კოლმეურნეობებში არის ჩამორჩენაც. სოფ. საჯიჯაოს კოლმეურნეობა „სოციალიზმში“, რომლის თავმჯდომარეა ვ. ქაჯაია, არ შეუსრულებიათ მესაქონლეობის სულადობის ზრდის 1943 წლის გეგმები, აკლიათ 22 ხარი და 6 დედა-ღორი. მეფრინველეობის ფერმაში 100 ფრთა ფრინველის ნაცვლად ჰყავთ მხოლოდ 10 ფრთა ფრინველი. შეუწყნარებელი ჩამორჩენაა სოფ. ახალი ხიბულის კიროვის სახელობის კოლმეურნეობაში. ამ კოლმეურნეობის გამგეობა და კერძოდ მისი თავმჯდომარე ჭ. ლაშხია უდარდელობას იჩენენ მეცხოველეობის განვითარებისადმი. შეუსრულებელია სულადობის ზრდის გეგმები. საკმაო რაოდენობით არ გააჩნიათ საკვები. საკვები დაცული არ არის დაღპობისა და პირუტყვის მიერ განადგურებისაგან.

გრ. ნანეიშვილი

ორპირის ჩაის ფაბრიკის ნარმაგება

ტყიბული („კომუნისტის“ საკ. კორ.). თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის ამხანაგ **ი. ბ. სტალინის** ისტორიულმა საოქტომბრო მოხსენებამ უდიდესი აღფრთოვანება და შრომითი აღმავლობა გამოიწვია ორპირის ჩაის ფაბრიკის მუშაკთა შორის. ბელადის მოხსენების პასუხად ფაბრიკის მუშებმა აიღეს დამატებითი ვალდებულებანი შრომის ნაყოფიერების შემდგომი გადიდებისა და წლიური საწარმოო პროგრამის, წარმატებით შესრულებისათვის.

სოციალისტური სამშობლოს პატრიოტები თავიანთ ვალდებულებებს ვადამდე ანაღდებენ. ორპირის ჩაის ფაბრიკამ საქართველოს ჩაის ფაბრიკებს შორის მოწინავის სპატიო ადგილი დიკავა, ჩაის გადამუშავების ოქტომბრის გეგმა ფაბრიკაში 243,7 პროცენტით შესრულდა. დიდი გადამეტებით არის შესრულებული აგრეთვე ნოემბრის დავალება. ფაბრიკაში წელს გამოშვებულია უმთავრესად პირველი და უმაღლესი ხარისხის ჩაი. მიღებულია 2 მილიონ მანეთზე მეტის მოგება. საწვავი მასალა დაზოგილია 7 პროცენტზე მეტი, ელექტროენერგია—13 პროცენტზე მეტი. შრომის ნაყოფიერება გაზრდილია 10 პროცენტამდე.

ამ დღეებში ორპირის ჩაის ფაბრიკაში ჩატარდა მიტინგი, რომელმაც მოისმინა ჩაის მრეწველობისა და სუბტროპიკული კულტურების საბჭოთა მეურნეობების მუშაკთა პროფკავშირის წარმომადგენლის ამხ. ს. ჯაფარიძის ინფორმაცია „საჭაის“ ტრესტთან არსებული რესპუბლიკური ეიურის დადგენილებაზე ორპირის ჩაის ფაბრიკისათვის გარდამავალი წითელი დროშის მიკუთვნების შესახებ. ამავე დროს მოხდა ფაბრიკისათვის მიკუთვნებული დროშის გადაცემა. დროშის მიღებასთან დაკავშირებით ფაბრიკის დირექტორმა ამხ. ს. ჩიგოგიძემ მუშა-მოსამსახურეთა კოლექტივის სახელით იკისრა ახალი ვალდებულებანი მუშაობის შემდგომი გაძლიერებისათვის. ვალდებულებები იკისრეს აგრეთვე სტახანოველმა ვერა ლომთაძემ და ფაბრიკის მთავარმა ინჟინერმა ჯ. როინიშვილმა.

დ. საბელაშვილი

კოლმეურნეები ეხმარებიან განთავისუფლებულ რაიონებს

საგარეჯოს რაიონის სართიჭალის ტელმანის სახელობის კოლმეურნეობის წევრები კონკრეტული საქმეებით უპასუხებენ დიდი სტალინის მოწოდებას. კოლმეურნეებმა გერმანელთა ოკუპაციისაგან განთავისუფლებული რაიონების კოლმეურნეობათა და კოლმეურნეთა დასახმარებლად გამოჰყვეს 5 ძროხა, 10 დედა-ცხვარი, 5 ჯიშიანი ღორი, 10 სკა ფუტკარი, 2 ტონა სათესლე ხორბალი, 2 საბარგული და სხვ. ტელმანის სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა მოწოდებით მიმართეს რაიონის კოლმეურნეებს, რათა მათ გაძლიერონ დახმარება განთავისუფლებული რაიონებისადმი.

ვასილ მაღლაფერიძე
ტელმანის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე.

„კომუნისტის“ წერილების კვალდაკვალ

„როგორ დაუმალა მთავარის დაბნელება მოსახლეობას თბილისის ჯელეგრაფმა“

ამ სათაურით ჩვენს გაზეთში დაიბეჭდა წერილი იმის შესახებ, რომ ტელეგრაფმა აბასთუმნის ობსერვატორიის დეპეშა მთავარის დაბნელების შესახებ დაგვიანა და დაამახინჯა. კავშირგაბმულობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულის მოადგილე საქართველოში ამხ. ქრისტესაშვილი ამ წერილის საპასუხოდ შემდეგს გვაცნობებს:

კავშირგაბმულობის ახალციხის სარაიონო კანტორის ტელეგრაფისტს ფანარჯიანს დეპეშის დამახინჯებისათვის, თბილისის ტელეგრაფის ბრიგადირს ფახალოვს დეპეშის გასწორებლად ზომების მიუღებლობისათვის და ახალციხის სარაიონო კანტორის უფროსს სირბილაძეს, რომელმაც არ უზრუნველყო დეპეშის დამუშავების კონტროლი და დროზე არ უპასუხა შეკითხვებზე დეპეშის დამახინჯების გამო, გამოეცხადათ საყვედური.

თბილისის ტელეგრაფის უფროსს ამხ. გეგუჩაძეს წინადადება მიეცა გააძლიეროს კონტროლი და უზრუნველყოს დეპეშების ხარისხიანად დამუშავება და ადრესატებისათვის დროზე ჩაბარება.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქუჩა № 28. ტელეფონები: პასუხისმგებელი რედაქტორის—3-62-26. პასუხისმგებელი რედაქტორის მოადგილის—3-63-03. პასუხისმგებელი მდივნის—3-08-67, სამდივნოსი—3-06-88; განყოფილებებისა: პარტიულისა და პროპაგანდის—3-81-84 სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო-სატრანსპორტო—3-80-83 სამხედრო, განათლება-ჯანმრთელობის, ლიტერატურისა და ხელოვნების—3-80-84, წერილების—3-73-24, მორიგისა და გამომშვების—3-81-65, გამოცემლობის—3-51-81, სტამბის დირექტორის—3-77-70.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 28.

ტირაჟი 91.800 ᲣᲪ 10078

დეპეშები

დაიხარა ინრრა-ს საბჭოს სესია

ატლანტიკ-სიტი, 1 დეკემბერი (საკდესის სპეც. კორ.). 29 ნოემბერს თითქმის სამი კვირის მუშაობის შემდეგ ინრრა-ს (გაერთიანებულ ერთა დახმარებისა და აღდგენის ადმინისტრაცია) საბჭოს სესიამ დაამთავრა ინრრა-ს ორგანიზაცია და ჩამოაყალიბა გაერთიანებულ ერთა დახმარებისა და აღდგენის საქმიანობის ძირითადი პრინციპები. საბჭოს სესიამ დაამთავრა აგრეთვე საორგანიზაციო საკითხთა დამუშავება, მოიწონა ყველა კომიტეტის მოხსენებანი და საბოლოო დოკუმენტები, რომელნიც შეიცავენ სხვადასხვა რეზოლუციებს, სადაც მოკლედ გადმოცემულია ინრრა-ს პოლიტიკა.

საბოლოო პრეს-კონფერენციაზე ინრრა-ს საბჭოს სესიის თავმჯდომარემ ჩარლზ მაინერ-ბანერმა, რომ ინრრა თავის საქმიანობას შეუდგება ორი-სამი თვის შემდეგ.

1 დეკემბერს ინრრა-ს საბჭოს სესიამ დაამთავრა თავისი მუშაობა. სესიის დახურვის წინ შესდგა საბჭოს ბლენარული სხდომა. რომელზეც სიტყვები წარმოსთქვეს ინრრა-ს გენერალურმა დირექტორმა ლიმენმა, სსრ კავშირის დელეგატმა სერგეევმა, ინგლისმა—ლიეველინმა, ამერიკის შეერთებული შტატებისამ—ჩარსონმა და მთელმა რიგმა სხვა დელეგატებმა. მათ ხაზგასმით აღნიშნეს, რომ ურთიერთგაგება და თანამშრომლობა, რომლითაც გამოირჩეოდა საბჭოს სესიის მუშაობა, მოწმობს, რომ გაერთიანებული ერები ისწრაფვიან ითანამშრომლონ ერთმანეთთან დახმარების აღმოჩენასა და აღდგენასთან დაკავშირებული ამოცანების განხორციელების საქმეში.

საომარი მოქმედება იტალიაში

ლონდონი, 4 დეკემბერი (საკდესი). როგორც ოფიციალურად იუწყებიან, მეხუთე არმიის ფრონტზე დაიწყო შეტევა ცენტრალური იტალიის მთებში მტრის მიერ წინასწარ მომზადებული პოზიციების წინააღმდეგ. იერიში დაიწყო გააფთრებული კონცენტრირებული საარტილერიო ცეცხლის შემდეგ, რასაც ბრწყინვალე დახმარება გაეწია ჰაერიდან. დაკავებულია დიდმნიშვნელოვანი მაღლობები; შეტევა გრძელდება.

მერე არმიის ფრონტზე მოკავშირეთა ჯარებმა დაიკავეს ქალაქები ტრელიო, ლანჩანო და ორსონია. წინსვლა გრძელდება მტრის შეუპოვარი წინააღმდეგობის პირობებში. მოკავშირეთა ავიაცია დიდ აქტივობას იჩენდა ბრძოლების რაიონში და რამდენჯერმე დაესხა თავს მტრის სამხედრო ობიექტებს.

ინგლისის ავიაციის თავდასხმა ბერლინზე

ლონდონი, 4 დეკემბერი (საკდესი). როგორც ოფიციალურად გამოცხადდა, ინგლისის ბომბდამშენებმა 3 დეკემბერს ღამით დიდი თავდასხმა მოახდინეს ლაიპციგზე. მოწინააღმდეგის ავიაგამანადგურებელთა განსარიდებლად იმავე დროს დაბომბილ იქნა ბერლინი.

ლაიპციგს, რომელიც გერმანიის ერთ-ერთი უდიდესი სამრეწველო ქალაქია, დააყარეს 1.500 ტონა დიდი ფუგასური და ცეცხლშამკიდი ბომბები. წინასწარი ცნობები მოწმობენ, რომ თავდასხმამ მეტად წარმატებით ჩაიარა.

დაბომბილ იქნა აგრეთვე მტრის აეროდრომები დიდ რაიონში. ამავე დროს გრძელდებოდა ნაღმების ჩაწყობა მტრის წყლებში. ყველა ამ ოპერაციიდან თავის ბაზებში არ დაბრუნებულა 25 თვითმფრინავი.

2 დეკემბერს ღამით ბერლინზე თავდასხმის დროს, ქალაქის მცველ ღამის ავიაგამანადგურებელთა წინააღმდეგობის მიუხედავად, ჩამოყრილ იქნა 1.500 ტონაზე მეტი ბომბი. ბერლინში დაბომბილ იქნა ახალი ობიექტები.

დემონსტრაცია ფილმისა „ის იცავს სამშობლოს“ ანკარის საბჭოთა საელჩოში

ანკარა, 4 დეკემბერი (საკდესი). ამ დღეებში სსრ კავშირის საელჩოში გასინჯულ იქნა საბჭოთა ფილმი „ის იცავს სამშობლოს“. დაესწრნენ თურქი პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწენი, მეჯლისის დეპუტატები, საგარეო საქმეთა სამინისტროს პასუხისმგებელი მუშაკები, მოკავშირე და მეგობარი ქვეყნების საელჩოთა და მისიათა დიპლომატიური შემადგენლობა, მწერლები და ჟურნალისტები.

სტუმრები აგრეთვე გაეცნენ უცხოეთთან კულტურული ურთიერთობის სრულიად-საკავშირო საზოგადოების მიერ მოწყობილ გამოფენას—„საბჭოთა ხელოვნება ომის დღეებში“. დამსწრეთა ერთსულოვანი აზრით ფილმი და გამოფენა მკაფიო წარმოდგენას იძლევიან ჰიტლერელ დამპყრობთა წინააღმდეგ საბჭოთა ხალხის გმირული ბრძოლის შესახებ.

„იაპონელ-ამერიკული ომი“
ინგლისური გაზეთი ჰიტლერელ ოკუპანტებისადმი ფრანგი ხალხის წინააღმდეგობის ზრდის შესახებ

ლონდონი, 4 დეკემბერი (საკდესი). როგორც ინგლისური გაზეთი „ორკშირ პოსტი“ სწერს, ოკუპანტებისადმი ფრანგი ხალხის წინააღმდეგობამ ისეთ ძალას მიაღწია, რომ ის შეიძლება დახასიათებულ იქნას როგორც იატაკქვეშა ომი. პარტიზანების რაოდენობა საფრანგეთში მეოთხედ მილიონ კაცს აღწევს, ამათგან 200 ათასამდე შამაკაცია, რომლებმაც თავი აარიდეს იძულებითს სამუშაოზე გერმანიაში გასაგზავნად მობილიზაციას. ფრანგი მოსახლეობის 15-დან 20-მდე პროცენტი ხელისუფალთა დევნას ემალება და ყალბი დოკუმენტებით ცხოვრობს.

ამ უკანასკნელ ხანს ვიშის „მთავრობის“ ყველა ღონისძიებისა და განკარგულების საბოტაჟი გააძლიერეს საფრანგეთის სახელმწიფო მოსამსახურეებმა, რომლებიც საფრანგეთის ნაციონალური განთავისუფლების კომიტეტის მიერ გაფრთხილებული არიან იმ მოხელეთა პასუხისმგებლობის შესახებ, ვინც ვიშის „მთავრობის“ განკარგულებებს ასრულებს.

საოკუპაციო ხელისუფალთა ცნობებით, ამ უკანასკნელი თვეების მანძილზე საფრანგეთში მოხდენილ იქნა ათასი დივერსიული აქტი რკინიგზებზე და 400 თავდასხმა გერმანელ ჯარისკაცებზე. საოკუპაციო ხელისუფალნი ლავალის სასამართლოებს ბრალად სდებენ მეტისმეტად „რბილი“ განაჩენების გამოტანას და წინანდელზე უფრო ხშირად ხვრეტენ მძევლებს. ჰიტლერული პრესა ვიშის ხელისუფლებს ბრალდებად უყენებს, რომ მათ უნარი არ შესწევთ დაიცვან „წესრიგი და მყუდროება“.

უცხოეთის ქრონიკა

ამ უკანასკნელ ხანს ადგილი ჰქონდა ბელგიაში მყოფი გერმანიის საოკუპაციო ნაწილების ოფიცერთა და ჯარისკაცთა თვითმკვლელობის შემთხვევებს. გენტში დაბანაკებულ საოკუპაციო ნაწილებში ამ ცოტა ხნის წინათ თავი მოიკლა შვიდმა სამხედრო მოსამსახურემ, მათ შორის ერთმა მაიორმ. თავი მოიკლა აგრეთვე აღმოსავლეთ ფლანდრიაში მყოფმა სამმა გერმანელმა სამხედრო მოსამსახურემ.

* * *

საფრანგეთში მყოფმა გერმანიის საოკუპაციო ხელისუფლებმა ქალაქ ანესში (ზემო საფრანგეთი) სამხედრო წესები გამოაცხადეს. ქალაქის ქუჩებში ჰიტლერელი ჯარისკაცები პატრულობენ. გრენობლიდან ანესში მაშველი პოლიციელთა ძალები მივიდნენ.

* * *

იაპონიის წყალქვეშა ნავმა ჩასძირა ამერიკის ავიოსანი „ლისკომ დეი“, რომელიც მონაწილეობას იღებდა გილბერტის კუნძულებთან წარმოებულ ოპერაციებში. ეს არის ამერიკის ერთადერთი ხომალდი, რომელიც ჩაძირულ იქნა გილბერტის კუნძულებთან (საკდესი).

ᲗᲔᲐᲢᲠᲔᲑᲨᲘ

5 დეკემბერს: **სახოპერა**—დილით „აბესალომ და ეთერი“, საღამოს—„ბოშათა ბარონი“. **რუსთაველის**—დილით „ოლეკო დუნდიჩი